



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბიტი ბეჭე-
უბი სიფყვას, ცუდილებით და ჭებობით ბუბ-
თის გაფანა ყველა უკადრისებზე უსამაგლესია.


გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ორშაბათი, 30 აგვისტო. 2021 წ. №172 (9291) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

თუ ვაქცინაციას არ ჩავეტარებთ, ბენოსიდი გერე ნახეთ!

კოვიდი ახლიდან ვრცელდება, 5 რობორს ტყის ხანძარი...



ამერიკაში ერთ დღეში 1000 ალაშვიანი დაიღუპა!

მეფე თეიმურაზ I-ის ქაბლი სამების საკათედრო ტაძრის ეზოში

ქაბლის გახსნის ღონისძიებაზე საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) მეფე თეიმურაზის ღვაწლზე ისაუბრა და ბრძანა:



„ჩვენი ერთ გამოირჩევა ასეთი მეფეებით, ქვეყნისთვის წამებულნი, თავგანწირული მეფეებით და აღმსარებლებით. შეიძლება თეიმურაზ მეფე ჯერ არ არის შერაცხილი წმინდანად, მაგრამ ის, ფაქტობრივად, ეკლესიისთვის, სამშობლოსთვის არის წამებულნი. დღევანდელი სამოციქულოდან წაკითხული იყო პავლე მოციქულის სიტყვები, რომ „იგივე ზრახვები გქონდეთ, როგორც ჰქონდა უფალ იესო ქრისტეს“.

აი, ჩვენი მეფეები სწორედ ამით გამოირჩეოდნენ. ისინი ცდილობდნენ, მათი იდეალი ეს იყო, რომ ისეთივე აზრები, ისეთივე განწყობა, ისეთივე ზრახვები ჰქონოდათ, როგორც ჰქონდა უფალ იესო ქრისტეს, იმიტომ, რომ ეს არის გზა გადარჩენისა და აი, ამან მოიყვანა ჩვენი ერთი დღემდე. უფალმა ინებოს, რომ ღვთისმშობლის მადლით, გვიმრავლოს ღმერთმა ასეთი შვილები და ჩვენი ერთი გადარჩეს, გამოლიანდეს და გაძლიერდეს“.

„ვერცხლის“ კარალიმპაელები



უკვე გაუნყეთ, რომ ტოკიოს პარალიმპური თამაშების სტარტზე ქართულ დელეგაციას პირველი ვერცხლის მედალი ხმლით მოფარეკავე წინა თიბილაშვილმა მოუტანა.

გუშინ საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე პარაოლიმპიელები – ინა ქალდანი (70 კგ) და რევაზ ჩიკოიძე (+100 კგ) ავიდნენ.

ქალდანი ინა თამაშების კუბელი ტრიუმფატორი აღვარესი და იაპონელი ფავორიტი იპონით დაამარცხა, მაგრამ სატიტულო ბრძოლარის ფორუმის ბრაზილიელ ფინალისტ მალდონადოსთან ვაზარით დათმო, ხოლო ევროპის გვირგვინოსანმა ჩიკოიძემ გადამწყვეტი შეხვედრა ტატამის სამყაროში „მავანდარანელი ვეფხვის“ მეტსახელით ცნობილ მსოფლიოს ირანელ ჩემპიონ მოჰამედ ჰეიროლზადესთან ფეხის ტრავმის გამო წააგო.



„წყის ანკეროზის“ იყოს!.. ტფილისის უსახელო კრეისერები 6



მანაკვალ-მანაკვარი მოღალატე... 2



ღარიბაშვილის პირდაპირობა ამომრჩეველის ნაწილს მოსწონს, რადგან ამომრჩეველისთვის ამოციურება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნაციონალურება და ლობიკა

რევოლუციური მუხარა – დანოკება მიწავლდა!

ხატზე გადასვეული ხელისუფლება, 3

ანუ მიზანს შეუძლია დაჭოს და დაჭოს



მანაკვალ- მანაკვარი მოლალატა...



დარიგაშვილის პირდაპირობა ამომრჩევლის ნაწილს მოსწონს, რადგან ამომრჩევლისთვის ამოციურობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნაციონალურობა და ლოგიკა

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, „ნაციონალური მოქრაობა“ ელოდება, როგორც დასრულებული ორთაბრძოლა „ქართულ ოცნებასა“ და გახარისას შორის, შეტევაზე მას მირა გადავა, როდესაც ნახავს, რომელი გახდება ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებული. როგორც პოლიტოლოგი ამბობს, თვითმმართველობის არჩევნები აქლავს გახარისას იმის შანსს, რომ ჩამოყალიბდეს მესამე პოლიტიკური ძალა, რამდენადაც „ქართული ოცნების“ მხრიდან დაშვებული შეცდომები აქლიერებს გახარისას.



ჩემს თვალში გახარია არის მოლალატე მეტსაც გეტყვით, გახარია არის იშვიათი, „მანაკვალ“ მოლალატე – მეგრელები გამიგებენ, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელიც ოპონენტების შეფასებებში მკაცრია, მაგრამ გახარისასთან მიმართებაში იმაზე მეტად მკაცრი აღმოჩნდა, ვიდრე ეს იყო ირაკლი ალასანიასთან დაპირისპირება. პრემიერ-მინისტრის მხრიდან ამ ლექსიკით საუბარი და მით უფრო წინასწარჩვენოდ, რამდენად სწორია? – მმართველმა გუნდმა ისეთი გეზი აიღო და ისეთი სისწრაფით ავითარებს ამ გეზს, რომ ამ პროცესში ირაკლი ღარიბაშვილი მხოლოდ ერთ-ერთი რგოლია. როგორც თქვენ აღნიშნეთ, გაკვირვებასაც იწვევს ის, რომ მან აქამდე არაფერი თქვა, მაშინ როდესაც მკვეთრი შეფასებები იყო კობახიძის, მდინარაძის და სხვათა მხრიდან. თუ შეიძლება ითქვას, ირაკლი ღარიბაშვილი ჩამორჩა ამ

პროცესს. ჩემთვის ძნელია იმის თქმა, როგორი სამზარეულო აქვს ამ პროცესს და როგორია მისი შინაგანი მხარე. მით უმეტეს, რომ გახარისას წინააღმდეგ მიმართულ ამ ბრძოლაში ჩაება ივანიშვილიც, რომელიც, როგორც აცხადებს, გასულია პოლიტიკიდან, მაგრამ თავი ვალდებულად ჩათვალა, რომ გახარისასთან მიმართებაში გაეკეთებინა შეფასება, დაახლოებით ისეთივე, რომ ეს ლატიია. – თვითონ გახარია მიიჩნია, რომ ეს არ იყო ივანიშვილის პოზიცია და, რომ მას თავს მოახვიეს ეს შეფასება და სტილი, თორემ ის ამ სტილით არ იმოქმედებდა... – თუ ივანიშვილზე შეიძლება იმის თქმა, რომ თავს მოახვიეს, არ არის გამოირცხული, რომ ღარიბაშვილზეც ყოფილიყო ანალოგიური გავლენა, რომელიც აქამდე ჩუმად იყო.

იმიტომ რომ, თუ მმართველ პარტიას განზრახული აქვს ბრძოლა გახარისასთან და ეს ლიად ჩანს, მაშინ ის იმოქმედებს ყველა მეთოდით, იქნება ეს პარტიის რიგითი წევრი, თუ მის მიერ წამოყენებული პრემიერ-მინისტრი. აქ უკვე გასაკვირი არაფერია. თქვენი კითხვა რამდენად სწორია? – ეს მთლიანად ამ სტრატეგიას ეხება – ებრძვიან გახარისას. ვილაცამ დადო ეს სტრატეგია, რომ მოდი, ვებრძოლოთ გახარისას. – არის თუ არა გამართლებული ეს ბრძოლა? გახარია ძალიან დინჯად, მშვიდად ხვდება ამ კრიტიკას, დაპირისპირებას და მათ შორის მოლალატის ძახილს... – მეჩვენება, რომ მმართველი გუნდის სტრატეგია არის არასწორი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა, ვინც „ოცნებას“ მხარს უჭერს, გაიზიარა „ოცნების“ ეს პოზიცია და ჩათვალა, რომ გახარია ულალატა, გახარია ნაციონალისტებისკენ არის გადახრილი, მაინც მეჩვენება, რომ ეს სტრატეგია არის მცდარი. იმიტომ რომ, გახარისას, როგორც ახალი პოლიტიკური ძალის მთავარი პლუსის არის, რომ მას შეუძლია დაიკავოს მესამე პოლიტიკური ძალის ადგილი. განდა კიდევ ასეთი წარმონაქმნი, აი, ასეთი მესამე ძალა შეიძლება შეიქმნას. მოსახლეობაში არის ძალიან დიდი ნაწილი, დაახლოებით 50%-მდე, რომელსაც არც „ქართული ოცნება“ უნდა და არც „ნაციონალური მოძრაობა“. აი, ამ პირობებში „ქართულმა ოცნებამ“ რომ ასეთი თავგამოდებული ბრძოლა

გამოუცხადა გახარისას, ფაქტობრივად მისი საქმე გააკეთა. – რას გულისხმობთ? – ერთხანს „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობდა გამოეყენებინა ეს შანსი, რომ გახარია მიჩნეულიყო თვითონ „ქართული ოცნების“ ვარიანტად – „ოცნება №2“ – გახსოვთ ასეთი ფორმულაც კი გააჩნია „ნაციონალურმა მოძრაობამ“, მაგრამ ისეთი შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღა „ქართულმა ოცნებამ“, რომ აღარ გამოდიოდა „ოცნება №2“. გახარისას უპირისპირდება როგორც „ქართული ოცნება“, ასევე „ნაციონალური მოძრაობა“, ეს კარგი წინაპირობაა იმისათვის, რომ ეს პოლიტიკური ძალა გაევიდეს როგორც ნეიტრალური ძალა და წამოიღოს ის 50%, რომელიც არჩევნებში არ ღებულობს მონაწილეობას. პრაქტიკულად, ასეთი შეუპოვარი ბრძოლით გახარისას საქმეს აკეთებენ. – როგორ ფიქრობთ, მიზანმიმართულად ხომ არ აკეთებენ ამას, რომ უფრო მეტად გააჩინონ საზოგადოებაში აზრი, რომ გახარისასა და ნაციონალურ შორის შეიძლება რაღაც კავშირები არსებობდეს? იმიტომ, რომ გახარია წვრილ-წვრილ პარტიებს წაართვა ამომრჩეველი, მათ შორის „ქართულ ოცნებას“, მაგრამ ნაკლებად დაზარალდა „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც ტრადიციულად ჰყავს სტაბილური და რადიკალური ამომრჩეველი, ვისთვისაც გახარისას პიროვნება მიუღებელია და დღემდე მას თვალთხარისას ეძახიან... **იხ. 4 გვ.**

პატრიარქი საქართველოსა და მსოფლიოსთვის ღირსეულად




სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით საპატრიარქო რეზიდენციაში სასულიერო პირებთან ერთად, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი სავედრებელი პარაკლისი აღავლინა და მორწმუნეებს დღესასწაული მიულოცა.

აქვს გონივრული გამართლება. მე კვლავ მოვუნოდებ ყველას, დაუყოვნებლივ წავიდნენ და გაიკეთონ ვაქცინა. რათა თავიდან ავიცილოთ შესაძლო სერიოზული საფრთხე, რომელიც გამოიწვევს სიკვდილს, – განაცხადა პატრიარქმა. „ჩვენ, ეკლესია, რელიგია, მსოფლიო საპატრიარქო პატივს ვცემთ მეცნიერებას, მეცნიერებს, სამეცნიერო აღმოჩენებს, ჩვენი სიცოცხლე განუყოფელია მისგან“, – აღნიშნა მან. ვაქცინაციის მოწინააღმდეგეებზე საუბრისას პატრიარქმა განაცხადა, რომ „ისინი არასწორად ფიქრობენ, არალოგიკურად აზროვნებენ და უსამართლოდ ექცევიან საკუთარ თავსა და თანამოქმედებს“. თავად კონსტანტინოპოლის პატრიარქი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი დოზით ჯერ კიდევ იანვარში აიცრა. შემდეგ კი მეორე დოზაც გაიკეთა.



ისის ჩათვლის ინფიცირების 43 338 შემთხვევა შესწავლეს, რომელთა უმეტესობაც ვაქცინირებული არ იყო. ამ პერიოდში ქვეყანაში როგორც ალფა (ბრიტანული), ასევე დელტა (ინდური) შტამები იყო გავრცელებული. სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ დელტა-ტი ინფიცირებული პაციენტები კლინიკებში ალფა-ტი ინფიცირებულებზე ორჯერ ხშირად ხვდებოდნენ. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ვაქცინაცია ჰოსპიტალიზაციის რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს, მაქსიმალური დაცვისთვის კი ვაქცინის ორი დოზაა საჭირო.

დაპით ბაბუა: ქალბს, რომლებიც ორსულობას გეგმავენ შეუძლიათ უშიშრად აიცრან, რეკომენდაცია დაავით გაგუამ „ქრონიკასთან“ ისაუბრა. მისი თქმით, ორსულთათვის ვაქცინაცია მნიშვნელოვანია და აუცილებელია, რომ ყველა ორსული აიცრას.



„ვაქცინაცია ნებისმიერ ტრიმესტრში რეკომენდებულია, ორსულობა არ არის უკუჩვენება. ჩვენს ქვეყანაში რეკომენდებულია Pfizer-ით ვაქცინაცია. ორსულებში აცრის შემდგომი გვერდითი მოვლენები უმნიშვნელოა და არ განსვავდება ზოგადი პოპულაციისგან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვაქცინაცია ლაქტაციის პერიოდშიც შეიძლება მოხდეს და არ საჭიროებს ძუძუთი კვების შეწყვეტას. ქალბს, რომლებიც ორსულობას გეგმავენ, შეუძლიათ უშიშრად აიცრან“, – განაცხადა დავით გაგუამ.

მსოფლიო პატრიარქი ყველას პაქსინის ბაქთაბისკან მოუნოდებს

მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოს პირველმა ყველას დაუყოვნებლივ კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთებისკენ მოუნოდა. ვაქცინაციის აუცილებლობის შესახებ მან ტელეარხ MEGA-სთან ისაუბრა. „სრულიად არაგონივრული და გაუმართლებელია, რომ ზოგ ადამიანს აცრის გაკეთების ეშინია. ამას არ

დელტა შტამი ინფიცირებულთა კოსმიტალიზაციის რისკს ირჯერ ზრდის

კორონავირუსის დელტა შტამით ინფიცირებულებს შორის ჰოსპიტალიზაციის რისკი ორჯერ უფრო დიდია, ვიდრე ალფა შტამით დაავადების შემთხვევაში, – ამის შესახებ BBC ბრიტანული მეცნიერების კვლევაზე დაყრდნობით წერს. გამოცემის ინფორმაციით, კვლევა ჟურნალ „ლანცეტში“ გამოქვეყნდა. მასზე ინგლისის საჯარო ჯანმრთელობისა და სამედიცინო კვლევის საბჭოს თანამშრომლები მუშაობდნენ. მათ ინგლისში მარტიდან მა-

სატზე გაღასეული ხელისუფლება,

ანუ მივას შეუძლია ღაჭოს და ღაჭოს



ცნობრებას პარადოქსები აზერბაიჯანს.

ეს ძველი გამოთქმა მარად ცოცხალი რამ არის. თუნდაც დღევანდელი ავილოთ. რამდენი იჯახირა ჩვენმა ამოდ მაშვრალმა ოპოზიციამ, რათა როგორმე რევოლუციური ვითარება შეექმნა ქვეყანაში და ერთი დარტყმით დაეშო საძულველი რეჟიმი. მას ცოცხლად ედგა თვალწინ 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ – პარლამენტის აღება და შევარდნაძის უჩაიოდ სახლში გაშვება. მაგრამ ისტორიას გამეორებები არ უყვარს. დიადმა „გაგრილოვის ღამემ“, მომდევნო დღეების სახალხო აღშფოთებამ და მიშა მშვილდაძის თავგანწირულმა წინასარმეტყველურმა ბლაგილიმ მას რატომღაც ჩაუნერგა ამის იმედი.

მას შემდეგ ასეთი „რევოლუციური აფეთქებები“ ხშირია, მაგრამ ისიც შეუიარაღებელი თვალთ შესამჩნევია, რომ ყოველ „გაგრილოვის აფეთქებას“ აშკარად მოსდევს: „პოზიციის გაფხაკუნება“, თუმცა, ორივე პროპოკაციას იდეაც და შინაარსიც ერთნაირი აქვს და შემგურულბლებიც თითქმის ერთი და იგივე ჰყავს.

ახლა არჩევნების გაყალბება! ოპოზიციამ უზნებში არჩევნების დასრულებისთანავე „აღმოაჩინა“, რომ არჩევნები გაყალბდა. ეს აღმოჩენა იმდენად სარფიანი გამოდგა, რომ თვით ყველაზე დაკვირვებულნი და გამოცდილი ოპოზიციის ვეტერანებიც კი ხშირად მიმართავენ მას, როგორც უტყუარ სიმართლეს, თუმცა, სულ ბოლოდროინდელმა უტყუარმა გამოკვლევებამაც კი დაადასტურა ამ შეთხზილი ლეგენდის უსაფუძვლობა.

მართალია, ვადამდე არჩევნების მონოდება დღემდე პოპულარულია ოპოზიციურ რიტორიკაში, მაგრამ ისიც შესამჩნევია, რომ ეს ყველაზე რევოლუციური იდეა აშკარად ჩამოვიდა იპილებიდან, ისევე, როგორც იმედი „კიდევ ერთი მიწოლა და რეჟიმი დაეშობა“!

ძალიან ბევრჯერ მიანგენ, მაგრამ ძვრაც ვერ უყვება. გახსოვთ ბოლო „მონოლა“ – ცესკოს შენობაზე შეტევა, ნიკანორ მელიას დაპატიმრებისას ოპოზიციის „წრიული თავდაცვა“, 5 ივლისის მოვლენების მომარჯვება სარევოლუციოდ და „კრიტიკული“, პირწავარდნილი ნაციონალი ტელეჟურნალისტების პოლიტიკური შანტაჟი (გრიგოლია-გვარამია-სანაიას სასაცილო თავგამოდება: არ დავიშლებით, სანამ ხელისუფლება არ გადადგება და მელიას ლელა კაკულიასეური გამოთქმა: რეჟიმის დღეები კი არა, საათებია დათვლილია).

რამდენი „ღორი ჩაუღო“, რუმორც რუსები იტყვიან, ხელმოცარულმა ოპოზიციამ ხელისუფლებას. მართო შარლ მიხეილის შიშინსმების სამარცხვინო პერიპატიები რად ღირს, ან ამ გოლუს კულტურის მინისტრისთვის მოწყობილი ხშირ-ხშირი საპროტესტო გამოსვლები და ათასი სხვა წვრილი თუ მსხვილი სისაქაგლე...

დღემდე ვერ გავრკვეულვარ, სინამდვილეში რი იყო ის ხაზურანად აგორავული, თითოეულ გულმართალი საპროტესტო ტალღა რიონის ხეობაში, რომელიც ასე მოულოდნელად და უკანმოუხედავად გაძრა.

ნათქვამია, „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“. იბობოქრა ოპოზიციამ, იხმარა ყველა ტრადიციული თუ საავტორო ხერხი და ჩაიფურსა, მეტი ვეღარ შეძლო, მეტს ვეღარ გაუძლო, მეტს ვეღარ შენგვდა!

და ახლა რუმად, ხელმეჩამოყრილი ხვდება ოპოზიციის გარდუვალობას. ის აშკარაა, ის თვალსაჩინოა.

იმ დღეს დავით ჭიჭინაძეს ვუსმინე ერთ-ერთ ტელეარხზე. ეს კაცი, მოგესხენებათ, განმდგარი ოცნებელია. იგი ცნობილია მრისხანე, მამხილებელი გა-

მოსვლებით ყოფილი „ალმა მატერის“ წინააღმდეგ. თუ ადრე დაბეჯითებით ამტკიცებდა „ოცნებაზე“ უეჭველ გამარჯვებას, ახლა სულ სხვანაირი კასანდრა ვიხილეთ – ყოველ სიტყვას წონიდა, რისი მოშლოდა, ჯიქური მტკიცებები მოეშალა, იჯდა და საკმაოდ საღად განსჯიდა, ოპოზიციის დაჯერებულობა ყინულზეა დაწერილი და თუ ასე გააგრძელებს, ოქტომბრის არჩევნებში კისერს ნაიმტკვევს.

ახლა მეორე თვალსაჩინო მაგალითი: „დამოუკიდებელ“ ყურნალისტ-ნათელ-მხილველს, ყოველმცოდნეს, მსოფლიოს ყველა სპეცსამსახურის საიდუმლოებებში მწვდომ ელისო კილაძეს საზოგადოება მეტნაკლებად იცნობს და მოესხენება, რომ ამ დაუდგომელმა ქალბატონმა ყველაზე ყველაფერი იცის, მაშინაც კი, როცა თვით ამ ადამიანებმა არ იციან და არც შეიძლება იცოდნენ. ისიც გვახსოვს, რა მრისხანედ გამოდიოდა ხელისუფლების წინააღმდეგ როგორც გვარამიას „დენშიკი“ ყურნალისტთა სამარცხვინო ბუნტის დროს და საერთოდ, ყოველ შესაძლებლობას მარჯვედ იყენებდა „ქართული ოცნების“ მიწაში ჩასადებად და მოახლოებული გამარჯვების მოსახრებად. გამოვიდა იმ დღეს ჩვენს „ხალისიან“ აქტუარდისთან და უჩვეულოდ სწორად განიხილა არსებული პოლიტიკური ვითარება, პინათა მდებარეობა სასწორზე. საკმაოდ მწვავედ მოსცხო ოპოზიციას არათანამიმდევრული, ფაქტობრივად მცდარი სამზადისისთვის, რამაც საეჭვოა, რომ წარმატება მოუტანოს. ის კი არა, აილო და ქალური გამჭრიახობით წაგვინა სალომე სამადაშვილი, საქმის წინაგდების ნაცვლად ტელეგადაცემებში კოსტიუმებით კოსტაპრუნობსო, ერთი ხატია დეკანოიძესაც გასცხო მწლაკედ.

ეს ორი მაგალითი იმის საილუსტრაციოდ მოვიყვანე, რომ ჭეშმარიტება მძიმედ, მაგრამ მაინც იკვლევს გზას, ოპოზიცია აღარ(ვეღარ) ხორხოცობს, მას აშკარად არ ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი, ნიკანორ მელია უდავოდ ვერ ქაჩავს. ნაცმოდრობა მიხვდა, რომ ტრიბუნიდან ღრიანცელი, საკუთარი მამის ზუგდიდში, ხოლო ფოთში ოდიოზური გიგი უგულავას (თუნდაც თინა ბოკუჩავას ნაცვლად) მერობის კანდიდატად წარდგენა გაზაფხულს ვერ მოიყვანს!..

თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ოპოზიცია ყველა ხვრელში ყოფს თავს გასაძრომად. აი, ახლაც, ამ კოვიდ 19-თან დაკავშირებით ცა ავად იქუფრება. ვითომ ძალიან გასაკვირი იქნება, რომ ერთ უბედურ დღეს კარგა მომზადებულად ერთმანეთს დაეჯახონ აცრილები და აუტრელები, ისევე, როგორც გურიაში შეებმეობდნენ ხოლმე ლელოზურთში ზემოურები და ქვემოურები ან ცოლიანები და უცოლოები?

დიდი გასაქანი მიეცა პანდემიით არჩევნების გადადების ვინაჩრობას. ოპოზიცია, რომელიც დარწმუნდა, რომ აუცილებლად წააგებს, ხავსს ეჭიდება, ცდილობს როგორმე გადაადებინოს ხელისუფლებას არჩევნები და პირდაპირ ცის მანანასავით ელოდება პანდემიის ახალი ტალღის აზირთებას, რათა პარლამენტს მიუხტეს, გადადე, ხალხს ნუ დალუპავო.

ახალი იმპულსი შეიძინა „ქართული ოცნებისთვის“ ყველაფრის დაბრალბამ (ეს პოლიტიკური ბრძოლის უტყუარი ხერხია). აი, ცხელი მაგალითი: პარტია „საქართველოსთვის“ წევრს აკაკი ბართაიას იარაღი უპოვეს და დააკვეცს. თანაპარტიელებმა იგი უშალ „ქართული ოცნების“ მხვერვლად გამოაცხადეს. განცხადებაში ნათქვამია, რომ ერთ დროს ბუტა რობაქიძის მკვლელობისას დაზარალებული (იმ მანქანაში იჯდა, რომელშიც ბუტა პატრულის თანამშრომლებმა ჩაცხრილეს) კაცისთვის იარაღი ჩაუდიათ და ამდენად მეტოქე პარტიისთვის აქტიური წევრი ჩამოუშორებიათ. არადა კომპეტენტური წყაროები ამბობენ, აკაკი სხვადასხვა კრიმინალურ საქმეებშია შემწეულიო. რამდენად შედეგადანი იქნება მარჩიელობა: ჩაუდეს თუ თვითონ ჩაიღო?

ამ საყოველთაო ცხვირ-პირის ნაყვანში თეთრი ყვავივით ჩანს პარტია „მოქალაქეების“ საარჩევნო ვენბანი. მათ საქმისთვის გულშემატკივრობის მაგალითი აჩვენებს, გამოფინეს ბანერები: „ნიკანორ, ძველი თბილისის სახლები გასამარჯვებელია“, „კახა, რაო ბიძინამ ლაგუნაზე?“, „ნიკანორ, კახას იპოდრომი შენც მოგნონს?“...

ლევან იოსელიანი განმარტავს, მნიშვნელოვანია, რომ მერობის კანდიდატებმა სწორედ ისეთ კონკრეტულ მაგალითებს მიხედონ, როგორიცაა ახტალის ტალახად ქცეული ლაგუნა-ვერე,

ამორტიზებული სახლები, მტკვარში ფეკალიების ჩადინება, გადახმარი ხეები და ა. შ., თორემ გამარჯვებისთვის შემართულ პარტიებს მხოლოდ ხმების მოხვეჭა-გადაწანილებით და ყოველად უიმედო ვადამდელი არჩევნებით აქვთ თავები გამოტყენილიო.

ამვე ისიც სათქმელია, რომ საერთოდ დაპარგა აპტივობა მიშა სააკაშვილის რევოლუციურმა მუშარა-დანოკებაამ, ოქტომბერში საგმობლოში დავარუნდებო და მისაც საპროტესტო, დედას ვაშლივამო. პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ერთო გულმშვიდად თქვა იმ დღეს, აჭარაში, ძედაში მერობის კანდიდატის წარდგინებას: სააკაშვილს თუ ჩამოსვლა უნდა, ჩამოვიდეს, გვაძვს ჰალსტუხაის საპამოდ დიდი კოლმცნია, რათა კომფორტულად ვაგყოფთ ციხეშიო, ანუ დაჯდას და ღაჭოთო.

ერთი სიტყვით, „ოცნება“ იმედიანად არის და მშვიდად ხვდება არჩევნებს. ის კი არა, საქართველოს აღმოსავლეთის ლუქსემბურგად ქვევას, გონიოში ახალი ქალაქის-ქვეყნის ფინანსური ცენტრის მშენებლობას გეგმავს. ყოველ შემთხვევაში, ამაზე ოცნებობს.

რამდენად რეალურია მისი გამარჯვების რწმენა და იმედი, მალე ვნახავთ. ბოლოს და ბოლოს, 2 ოქტომბრამდე რალაც ერთი თვე რჩება.

საეჭვოა, ვითარება არსებითად შეიცვალოს, რაც უნდა დანაზე დაეხიონ ინგა გრიგოლია და დანი და ძმანი მისნი და ყოველ ამოსუნთქვაზე შხამი ანთხიონ, როგორც იმ დღეს, როცა ვახო სანაიას „თავდასხმელები“ კატორლაში კი არ გაუშვეს, არამედ სასამართლოდანვე გაათავისუფლეს, ამ „უსამართლობის“ გამო კი ისევ ხელისუფლება გადასცეს ხატზე.

ალექო ასლანიშვილი

წერილი რედაქციას

თბილისის წყალს „ქია მაკარის სინდრომი დაეპაროს“

ბახსწვთი ფილმ „ქეთო და კოტეში“ ვაჭარი მაკარი როგორ აძებნინებს სიკოს და ნიკოს (ხელისბიჭებს) კაპიკებს და ეუბნება „მილიონს რომ კაპიკი აკლდეს, მილიონი არ არისო“.

თბილისის წყალს ისედაც გაზრდილ ტარიფს ონლაინ შეტყობინებით ვურიცხავთ. გამოირკვა, რომ ორ შემთხვევაში 1200ლარში 6 თეთრში იყო განსხვავება, არც შეგვატყობინეს, მეტიც გასული წლის აგვისტოში ონლაინ მიღებული ციფრები შემდგომ ანგარიშგაქტურაში 61 ლარით განსხვავდებოდა. გარკვევაში, რომელიც არა ჩვენი მიზნით შეიქმნა, ეს ჩავგივალეს დარღვევად, არც სამენარმეო გარემოს ითვალისწინებენ, არც პანდემიურ მდგომარეობას, არც გაზრდილ ტარიფებს – რაც ძალიან გულდასანყვეტია,

რომ მეზობელ ქვეყნებში მენარმეობის ხელშესაწყობად არაერთი კანონშესწორება განხორციელდა.

ჩვენში კი „ქია მაკარის სინდრომი“ დღესაც მუშაობს, რაც ძალიან სამწუხაროა (მოითხოვენ დეპოზიტზე თანხას.

მივმართავ „სემეკს“ როცა ფასები იზრდება, იმის ღირსი მაინც არ არის მენარმე, არ ჩაუსაფრდე 6 თეთრზე.

ს.ს. №4 პურის ქარხნის ღირექტორი
მალსაზ დოლიძე,
ბუღალტერი
ვენერა ორმოცაძე.

P.S. 90-იან წლებში, როდესაც პურპროდუქტების მომარაგებაზე პრობლემა იყო, „თბილისის წყალს“ და მის თანამშრომლებს სპეციალურად ყოველდღიურად პურით ვამარაგებდით ჩვენი ტრანსპორტით. ამას ინფორმაციისათვის მოგახსენებთ.



სალომე ზურაბიშვილი: ასრა სოფლა კი არა, სამოქალაქო პალატებზე და დღევანდელ დღეს პატრიოტიზმის უდიდესი გამოხატულებაა...

„მინდა, ყველას მოგილოცოთ დღეს მარიამობა, ვულოცავ ყველა მარიამს, ჩემს პატარა მარიამს და სრულიად საქართველოს! ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული მართლმადიდებლებისთვის ერთ-ერთი მთავარი დღესასწაულია, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოსა და ქართველებისთვის!

როგორც ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, საქართველო მისი მფარველობის ქვეშ იმყოფება და მით უფრო, დღევანდელი განსაცდელის დროს, ჩვენ მას ვებარებთ. თუმცა, ეს არ ნიშნავს და არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ჩვენ ჩვენი ოჯახების, ახლობლებისა და ჩვენი პატარა ქვეყნის მომავალი თაობების გადასარჩენად, არ უნდა გამოვიყენოთ ყველაფერი, ყველაფერი, რისი საშუალებაც გაგვარჩიან ჩვენ პირადად თუ კოლექტიურად. ეს ნიშნავს დაცვის ყველა საშუალების გამოყენებას: პირდაპირს ტარებას, დისტანციის დაცვას, თავიდან ავიცილოთ ჩვენი შვილები.

რა ფასი უნდა ჰქონდეს ქორწილს, დაბადების დღეს, ან ქელესს თუ, მას მოჰყვება ჩვენი ახლობლების ინფიცირება, მძიმე დაავადება და შესაძლო გარდაცვალება.

ერთი მხრივ, საკუთარ თავზე ეგოისტურად რაღაცების გვემინია, და მეორე მხრივ, საკუთარ თავზე ვიღებთ სხვისი ჯანმრთელობის საფრთხის ქვეშ დაყენების უდიდეს პასუხისმგებლობას.

ასრავ უარის თქმა სხვისაც უქმნის საფრთხეს, და დღეს უკვე ვხედავთ რომ, ეს საფრთხე ჩვილ ბავშვებსა და ორსულ ქალებს, ანუ ჩვენი ქვეყნის მომავალს ემუქრება. არ შეიძლება არ დავინახოთ რამხელა საფრთხეს წარმოადგენს ეს ჩვენი ქვეყნისა და მისი დემოგრაფიული მდგრადობისთვის.

არ შეიძლება არ გავიმეორო, თუ რამდენად აუცილებელია ასრა, რამდენად გვიცავს ის დაავადების,

ინფიცირების შემთხვევაში, მძიმე გართულებებისა და გარდაცვალებებისგანაც კი.

არ შეიძლება არ ვიფიქრო, რომ უარყოფითი პროპაგანდა, რომელიც ცრუ ინფორმაციებს ავრცელებს და ცრუ შიშებს ბადებს, ჩვენი ქვეყნის საინააღმდეგო დღეს მუშავდება და ვრცელდება.

ამიტომ მიმაჩნია, რომ როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტს, მაქვს განსაკუთრებული მოვალეობა დაგარწმუნოთ ყველა: ერი და ბერი, ექიმი და ექთანი, პედაგოგი და სტუდენტი, დიდი და პატარა, რომ ასრა, ცოდვა კი არა სამოქალაქო ვალდებულება და დღევანდელ დღეს პატრიოტიზმის უდიდესი გამოხატულებაა! თავისუფლება არ ნიშნავს სხვისი სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენების თავისუფლებას!

მეკითხებიან, არჩევნებზე რას ფიქრობთო. პასუხი მარტივია: აქაც ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რამდენად პასუხისმგებლობით მოვექცებით ამ საქმეს. ვფიქრობ, რომ ამ ქვეყნის სტაბილურობას არ წაადგება არჩევნების გადატან-გადმოტანა, და როგორც 2020 წელს შევძელით, დღესაც უნდა იყოს შესაძლებელი შესაბამისი ზომების მიღება, რათა საარჩევნო უბანზე ყველა უსაფრთხოების ნორმა იყოს დაცული. თუმცა ვითარება გვიკარნახებს გადაწყვეტილებას – იმ შემთხვევაში, თუ ვერ შევინარჩუნებთ ტენდენციას სტაბილურობისაკენ, რაც ბოლო დღეებში შეიმჩნევა.

ვაქცინაციის მაღალი ტემპი არ უნდა შენელებდეს, ყველამ უნდა გამოვიჩინოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და მჯერა, რომ შევძლებთ არჩევნებსაც და სკოლების ამოქმედებასაც. ერთი და მეორეც ჩვენს ხელშია! – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ვიდეომიმართვაში, სადაც მოქალაქეებს მარიამობის დღესასწაული მიულოცა.

© მისამე პოლიტიკური ძალა თუ...

მასკულ-მასკური მოლაპტა...

(მეორე გვერდიდან) – თვალთხარია არ ვიცი, მაგრამ თავსაც ვიცი რომ არის ფაქტია. გახარია თავსაც ვიცი უჩინს „ქართულ ოცნებას“ და ანალოგიურად „ნაციონალურ მოძრაობას“. თუ „ნაციონალური მოძრაობა“ განუშინდა და ხალხი იფიქრებს, რომ ნაცებთან კავშირში არის, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხმებიც მასთან წავიდეს. ასე რომ, ასეთი გაჩერებაც დიდად მომგებიანი არ არის „ნაციონალური მოძრაობისთვის“. მაგრამ მე მგონია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ელოდება, როგორ დასრულდებოდა ორთაბრძოლა „ოცნებასა“ და გახარია შორის და მერე გადავა შეტევაზე, როდესაც ნახავს რომელი არის ამ ორთაბრძოლაში მეტ-ნაკლებად გამარჯვებული. ესაუბრობ საპარლამენტო არჩევნებზე. თვითმმართველობის არჩევნების შედეგებზე შეიძლება არაფერი არ უკარნახოს „ნაციონალურებს“. მთავარი ბრძოლა მერე არის.

– თვითმმართველობის არჩევნები აძლევს გახარიას იმის შანსს, რომ ჩამოყალიბდეს მესამე პოლიტიკურ ძალად?

– ალბათ, აძლევს ამ შანსებს. მესამე პოლიტიკურ ძალადაც შეიძლება ჩამოყალიბდეს და მეორე ადგილზეც შეიძლება აღმოჩნდეს გახარია, იმდენად, რამდენადაც „ქართული ოცნების“ მხრიდან დაშვებული შეცდომები აძლიერებს გახარიას. ნაწილობრივ, „ნაციონალური მოძრაობის“ ეს გაჩერება და გაუბედაობა გახარიასთან დამოკიდებულებაში, აძლევს იმის შანსს, რომ თავისი გავლენა გაზარდოს, მით უმეტეს რეგიონებში. არ გამოვირიცხავ, რომ ამ გავლენისთვის კარგი საფუძველი შექმნას ისეთმა დრამატულმა მოვლენებმა, რომელიც ვითარდება ამ პანდემიის ფონზე.

ასეა თუ ისე, გახარიას პერიოდში უფრო მეტად იყო კონტროლის ქვეშ მოქცეული პანდემია, გახარია უფრო მეტად უჯერებდა ექიმებს. დღეს პანდემიის სურათი უფრო დრამატულია, ვიდრე იყო მაშინ. ეს ერთი მხრივ შეიძლება ხელ შეწყობი აღმოჩნდეს გახარიას დადებითი შეფასებისთვის, მეორე მხრივ – პანდემიას ორ-მხრივი მნიშვნელობა აქვს – ერთი ის, რომ ვინც უკეთესად ებრძვის პანდემიას, ის მოიყვანოს ხალხმა ხელსუფლებაში და მეორე – პანდემიის ფონზე საერთოდ არ სურდეს არჩევნებში მონაწილეობა და ხმის

მიცემა იმათთვის, ვინც ვერ მოახერხა პანდემიის მოტყუარება.

– ეს ნიშნავს, რომ ხმას მისცემენ „ნაციონალურ მოძრაობას“?


– არა, არც ის არ უნდათ. ვიცი, რომ ასეთი ბევრია. ისევე შეიქმნება ასეთი შუალედური ფორმა, რამაც შეიძლება პროცენტული თვალსაზრისით, უფრო მეტი ხელი მოუტანოს გახარიას პარტიას.

– რაც შეეხება გახარია-ლარიბაშვილის დუელს, ირაკლი ლარიბაშვილს ახასიათებს კახური პირდაპირობა და ეს კარგად ჩანს ოპონენტებთან ურთიერთობაში, მაგრამ დღეს „ქართული ოცნებისთვის“ რამდენად არის სწორი პიარსვლა, როდესაც ლარიბაშვილი ამბობს, რომ 2012 წლის ოქტომბრის პროცესებში გახარიას მონაწილეობა არ მიუღია, ჩამოვიდა მოსკოვიდან და ერთი ადამიანის რეკომენდაციით მოხვდა მთავრობაში – ვიცი, რომ ეს ერთი ადამიანი არის ხუხაშვილი. ანუ, ლარიბაშვილის განცხადებებიდან თუ ამოვალთ, რეკომენდაციით შესაძლებელია გახდეს მთავრობის გავლენიანი წევრი. ეს შეფასება რამდენად აზარალებს მმართველ გუნდს?

– დავამატებდი, რამდენად არის ამომრჩეველი მზად იმისთვის, რომ გააკეთოს ეს დასკვნები, რაც თქვენ გააკეთეთ? ლარიბაშვილის განცხადება მიუთითებს, რომ „ქართულ ოცნებაში“ ადამიანების თანამდებობებზე გამწვანების მექანიზმი არ იყო მონესრულებული და შეიძლება არც ახლა იყოს, მაგრამ ამდენ ნიაღვრებას გააკეთებს ამომრჩეველი? მისთვის ძალიან ხშირად ემოციური რეაქცია არის გადაწყვეტი.

ლარიბაშვილის პირდაპირობა ამომრჩევლის ნაწილს მოსწონს. ქართულ სინამდვილეში პირდაპირობა დადებითი მოვლენაა. ამბობენ, რომ კარგია პირდაპირი ადამიანი, მაგრამ ის, რომ ამის იქით სისტემის ხარვეზი იკითხება, ამას ამომრჩეველი არ აკვირდება. ამომრჩევლისთვის ემოციურობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რაციონალურობა და ლოგიკა. ამიტომ შეიძლება ლარიბაშვილის ეს პასუხები დიდად მავნებელი „ქართული ოცნებისთვის“ არ იყოს.

ესაუბრა
თამაზ ძარჩავა



საქართველოს
მედიცინის
მეცნიერებათა
აკადემია

web-site: www.AMSG.ge.
E-mail: kheladze@gmail.com

დაუყოვნებლივ ჩავერთოთ ახალი კორონავირუსის სანიმალგებო იშუნიზაციის პროცესში!!!

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც მსოფლიოს აკადემიათა შორის პარტნიორობის ორგანიზაციის ნაციონალური წევრია საქართველოდან, მონოღებით მიმართავს საქართველოს ზრდასრული ასაკის ყველა მოქალაქეს დაუყოვნებლივ ჩაერთოს ახალი კორონავირუსის სანიმალგებო იშუნიზაციის პროცესებში. ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეს პანდემია ოცდამეერთე საუკუნის ოციან წლებში გლობალურ კატასტროფად მოეწონა მსოფლიოს და ცივილიზაციის მილიონობით წევრის სიცოცხლე შეინირა. ამ კატასტროფის წინააღმდეგ ბრძოლის უმარტეს საშუალებას კი დედამიწის მოსახლეობის ახალი კორონავირუსის ვაქცინით ასრა წარმოადგენს. სამწუხაროდ იშუნიზაციის სახელით ცნობილი ეს სამედიცინო ღონისძიება, რომელიც სამი საუკუნის წინ იყო მონოღებული ინგლისში და პროტოქარტული ცივილიზაციის მიერ შექმნილ ტექნოლოგიას ემყარება. დღეისათვის ახალი კორონავირუსის მიმართ საგრძობი შეფერხებებით მიმდინარეობს თავად საქართველოში.

ამის გამო პანდემიის მიერ გამოწვეული შედეგები არასასურველია და უახლოეს მომავალში შესაძლებელია უმართავი გახდეს. აქედან გამომდინარე საქართველოს ზრდასრული ასაკის ყველა მოქალაქის ვალა საკუთარი სიცოცხლის, ახლობელთა სიცოცხლის და ქვეყანაში მცხოვრები ყველა სხვა მოქალაქის სიცოცხლის შესანარჩუნებლად დაუყოვნებლივ იყოს აცრილი. მით უმეტეს, რომ საქართველოს მთავრობის უდიდესი ძალისხმევით „მსოფლიოს სხვა მრავალი ქვეყნისაგან განსხვავებით, საქართველოს მოსახლეობა სრულად არის უზრუნველყოფილი საჭირო რაოდენობის მაღალხარისხოვანი ვაქცინებით და ასევე ყოველგვარი შეფერხების გარეშე მიმდინარეობს იშუნიზაციის პროცესიც. რომელიც მოსახლეობის ყველა ფენისათვის უფასოა და ხელმისაწვდომი, და რაც მთავარია, ერთეული გამონაკლისების გარდა, უზიფათოა მათი ჯანმრთელობისათვისაც. საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია ასევე მიესალმება საქართველოს მთავრობის მიერ აღნიშნული პროცესის დაჩქარების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო თუ ნამახალისებელი ღონისძიებების შემოღებას ქვეყნის მოსახლეობის მიმართ. საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია იმედოვნებს, რომ აღნიშნული მიმართვა ერთგვარი გზამკვლევი გახდება ქვეყნის ზრდასრული ასაკის ყოველი მოქალაქისათვის და საგრძობლად დააჩქარებს იშუნიზაციის აქტში მათი ჩართვის პროცესს, რაც საქართველოს და ქართული ეთნოსის გადარჩენის უპირველესი და უმთავრესი ფაქტორია დღეისათვის.

საქართველოს მედიცინის
მეცნიერებათა აკადემია



კოვიდი ახლიდან პრსელდება, როგორც ტყის ხანძარი...

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს მოსახლეობის მასობრივი ვაქცინაცია Covid 19-ის წინააღმდეგ. უკვე მილიონზე მეტი აცრა ჩატარებულია, მათ შორის მთლიანად, ორი დღით, მოსახლეობის 10%-ია აცრილი. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ დროს Covid 19-ით მოსახლეობის ინფიცირების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა (დღეში 5-6 ათასი ახალი შემთხვევა). შესაბამისად, დრამატულად გაიზარდა კოვიდინფექციით გამოწვეული სიკვდილიანობა (50-60-70 შემთხვევა დღეში), ჰოსპიტალური სექტორი გადავსებულია ავადმყოფებით, საჭირო შეიქმნა დამატებითი საწოლ-ფონდის მოხილვები, რის გამოც ქვეყანაში გაიხსნა სავსე ჰოსპიტლები, მოხილვით დატვირთული მრავალი მედიკოსი და სხვ. ინფექციის განვითარების ასეთ დრამატულ სცენარს ქვეყანაში ბევრი ამ დარგის სპეციალისტი არ მოელოდა.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა დროის ამ პერიოდში როგორ იყო ეპიდსიტუაცია მსოფლიოში სუპერეკონომიკის მქონე ქვეყანაში, აშშ, სადაც ამჟამად მთლიანად ვაქცინირებულია მოსახლეობის 52%, ანუ 172 მილიონი ადამიანი. აღნიშნული სურათის ობიექტურად წარმოდგენისთვის ჩვენ ციტირება მოვახდინეთ ყოველდღიური ახალი ამბების საინფორმაციო სააგენტოს „Freedom Beacon“-ის მონაცემებთან, რომელიც ცნობილია თავისი მიუკერძოებლობით და ნათლად გამოხატავს ძირითად ამერიკულ ღირებულებებს, ერთდროულად ებრძვის ყოველგვარ სიცრუეს, ყალბ ახალ ამბებს, რომლებიც ხშირად გამოიყენება საზოგადოების დეზინფორმაციისათვის.

როგორც (Freedom Beacon.com -თავის წერილში „1,000 Dead From COVID-19 in Single Day“, 21 აგვისტო 2021წ) აღნიშნავს: „Covid 19 ინფექცია აშშ-ში თავიდან ვრცელდება როგორც ტყის ხანძარი და ამ კვირას იგი გახდა საშინელი მთელი ქვეყნისათვის. Reuters-ის მონაცემების მიხედვით აშშ-ში ერთ დღეში რეგისტრირებული იყო Covid 19-ით გამოწვეული 1000 სიკვდილის შემთხვევა, რამაც შეადგინა 42 სიკვდილი ყოველ საათში.

ვირუსის Delta ვარიანტი არის მთელ ქვეყანაში ძირითადი მიზეზი კორონავირუსის ინფექციის დიდი აფეთქების და მკვეთრად გაზრდილი მოსახლეობის სიკვდილიანობის.

ბისა. ამას ადგილი აქვს ძირითადად ქვეყნის იმ ნაწილში, სადაც Covid 19 -ის წინააღმდეგ ვაქცინაციის დაბალი დონეა.

Reuters-ის მონაცემების მიხედვით წინა სამშაბათს კორონავირუსისაგან დაიღუპა 1017 ადამიანი. საერთო სიკვდილიანობამ აშშ შეადგინა 623000 ადამიანი, პანდემიის დანეყნებიდან (მარტი, 2020 წ), ეს ყველაზე მაღალი რიცხვია მსოფლიოში. ეპიდემიის ახალი აფეთქების საწინააღმდეგოდ მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩინოვნიკები ატარებენ ყველა შესაძლებელ ღონისძიებებს, რათა გაზარდონ ვაქცინაციის ტემპი, განსაკუთრებით ქვეყნის იმ რეგიონებში, სადაც ვაქცინაციის მაჩვენებელი დაბალია. ამ ახალი ღონისძიებების შედეგად ვაქცინაციის ტემპი ბოლო ორი კვირის განმავლობაში ქვეყანაში გაიზარდა 14 პროცენტით. როცა ზამთრის დასასრულს აშშ-ში დაიწყო ვაქცინაცია, ზოგიერთ შტატში და დასახლებულ რაიონებში ადგილი ჰქონდა ადამიანების სხვადასხვა ფორმით წახალისებას (თუკინდ ვუღადა). თუმცა ეს სტიმულები, ძირითადად, აღარ გამოიყენება, რადგან ადამიანებს გაუჩნდათ ახალი მოტივაცია ვაქცინაციის მიმართ. ამჟამად ზოგიერთი შტატი და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ანსებენ რიგ შეზღუდვებს იმ

ადამიანების მიმართ, რომლებიც არ არიან ვაქცინირებული, ზოგიერთი დანეყნებულებაც ასე იქცევა.

თუმცა, სანამ ეს ხდება, ჰოსპიტლებში Covid 19-ით ავადმყოფთა რაოდენობა გეომეტრიული პროგრესით იზრდება. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში Covid 19-ით ადამიანების რაოდენობა 70%-ით გაიზარდა, რის გამოც მთელ რიგ სავადმყოფოებში საწოლ-ფონდი თითქმის ამოიწურა. მსგავსი რამ მოხდა 2020 წლის გაზაფხულზეც. მოზრდილი ადამიანების ინფიცირების ზრდასთან ერთად ადგილი აქვს ბავშვების დასნებოვნების ზრდას. აშშ ჯანდაცვის სამინისტროს და სოციალური სამსახურების წინა სამშაბათის მონაცემების მიხედვით, Delta ვარიანტი 1834 ბავშვი ჰოსპიტალში მოხვდა.

ყველა ამ დარგის სპეციალისტის აზრით, პანდემიის დამარცხების ერთადერთი გზაა მოსახლეობის მასობრივი და სწრაფი ვაქცინაცია.

P. S. შპშ თითქმის საუკუნეზე მეტი დრო გავიდა, რაც ედუარდ ჯენერმა პირველმა შექმნა ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინა, რის შედეგადაც, მიღებულმა საყოველთაო იმუნიტეტმა მსოფლიო მასშტაბით ბოლო მოუღო

უმძიმეს ინფექციურ დაავადებას – ყვავილს. მთელ მსოფლიოში სხვადასხვა ინფექციურ დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით ვაქცინის გამოყენებამ თითქმის საუკუნოვან გამოცდას გაუძლო და, რომ არა ვაქცინა, როგორი იქნებოდა ამჟამად კაცობრიობა, არავინ უწყის. თუმცა, ამჟამად ვაქცინაციის მნიშვნელობას კოვიდ-ინფექციის შემთხვევაში ზოგიერთები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ. შეიძლება ამაზე პასუხის გაცემაც არ ღირდეს, რადგანაც, ეს იგივეა, უარყოფილი იქნას ფუნდამენტური მეცნიერების საყოველთაო მიღწევები, როგორც იმუნოლოგიაში, ასევე, ზოგადად, მედიცინაში. ზოგიერთების მიერ კი იმის მონოტონია, რომ ადამიანებმა არ აიცრან Covid 19-ზე, სულ ცოტა მკრეხელობაა. ეს იგივეა, ცოფიანმა ძაღლმა ადამიანი რომ დაკბინოს და ლუი პასტერის მიერ საუკუნის წინ შექმნილი ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა არ გაიკეთოს, ამავე დროს იცოდეს, რომ თუ არ გაიკეთებს, შეიძლება ვიცოფდეს და დაიღუპოს. სწორედ ედუარდ ჯენერის და ლუი პასტერის დამსახურებაა, რომ ამჟამად კაცობრიობას გააჩნია Covid 19-ის ეფექტური ვაქცინა, რომელსაც შეუძლია მილიონობით ადამიანი სიცოცხლე გადაარჩინოს მსოფლიოში.

ბონდო მოხულია, მაღისტის მენიორაბათა დოქტორი, პროფესორი



„თუ ვაქცინაციას არ ჩაუტარებენ ადამიანებს, გენოციდი გეგმავენ, როგორც იქნება“!

„აცრილიც და აუცრილიც თანაბრად დაუცველია ჩვენს ქვეყანაში. კაითილი ინფიცია, ვინც ხართ მას საბჭოში, აიღეთ თქვენი წილი პასუხისმგებლობა ზუსტად იმ შემთხვევაში, რასაც ხელს მიჰყავთ“, – ამ სიტყვებით გააკრიტიკა პროდიუსერმა ნატო დუმბაძემ საკოორდინაციო საბჭოს მიერ კორონავირუსის მართვის სტრატეგია.

ნატო დუმბაძის აზრით, თუკი არჩევნების დროს ვერაობთ პიარს, კონსულტანტს, რატომ არ შეიძლება, ჩამოიყვანონ რომელიმე უცხოელი, რათა პანდემიის მართვა სწორ რეულსებზე გადაიყვანოს. მით უმეტეს, რომ მკურნალობის „გაიდლაინები“ ნახევარმა მსოფლიომ შეცვალა, არც უანგზადის ნაკლებობა აქვთ და კლინიკები ყველგან აღჭურვილია. ნატო დუმბაძეს ებრაელი ექიმის მაგალითი მოჰყავს, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებს იმ „გაიდლაინებს“ უზიარებდა, რამაც სიკვდილიანობა მინიმუმამდე დაიყვანა.

მას შემდეგ, რაც ორჯერადად აცრილი ადამიანები საქართველოში დაიღუპნენ, ამან უფრო მეტი ნიჰილიზმი გამოიწვია აცრის მიმართ. ორი დღით ვაქცინირებული გარდაცვლილი პაციენტი 63 წლის მწერალი **ვაჟა შაჰარაშვილი** აღმოჩნდა. როგორც მისი ქალიშვილი ამბობს, ზოგიერთები ირწმუნებოდნენ, თითქოს ვაჟა შაჰარაშვილს სიმკვლე ჰქონდა, თითქოს ის 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. სინამდვილეში, ქალიშვილის მტკიცებით, მამას ჯანმრთელობის პრობლემა არ ჰქონია და არც ხანდაზმული არ ყოფილა. პირიქით, ძალიან ემონდა ვირუსის და ორი წლის განმავლობაში იჯდა სახლში, რადგან ფრთხილობდა. ქალიშვილი ფიქრობს, რომ ორჯერ აცრის მიუხედავად, მამამისის სხეულში ჯერ კიდევ არ იყო გამოუმუშავებული ანტისხეულები.

ვაჟა შაჰარაშვილის შემდეგ ანჩისხატის ტაძრის მოძღვარი გარდაიცვალა. როგორც ამბობენ, ისიც ორჯერ აცრილი იყო. პარალელურად, საქართველოს მსგავსად, მთელ მსოფლიოში გაზრდილია ანტივაქსერული მოძრაობა. სხვათა შორის, ანტივაქსერები ძალიან ხშირად იშველებენ ცნობილი ვირუსოლოგების მოსაზრებას, მათ შორის, **ლუკ მონტანიუს** აზრს, რომ „მასიური ვაქცინაცია სრულიად დაუსველებელია პანდემიის დროს, რადგან ის ახალი ვირუსული შტამების გაჩენას იწვევს, რომლებიც რეზისტენტული არი-

ან ვაქცინების მიმართ“. ამ მოსაზრების ავტორი აკადემიკოსი, ვირუსოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატია.

ინფექციონისტი **ალექსანდრე გოგინავა** საუბრისას ადასტურებს, რომ მასაც მოსმენილი აქვს რამდენიმე ვირუსოლოგის აზრი, მათ შორის, ყველაზე უფრო ავტორიტეტული ფრანკი მონტანიუსი შეხედულება, რომელმაც აღმოაჩინა აივინფექციის, ანუ შიდსის გამომწვევი ვირუსი.

„რა თქმა უნდა, ლუკ მონტანიე ავტორიტეტული ვირუსოლოგია და მას აქვს თავისი მოსაზრება, მაგრამ მეორე მხარეს დგას დანარჩენი ცივილიზებული სამყარო, უამრავი ავტორიტეტული ორგანიზაცია, მათ შორის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, რომლის უკანაც არის ათასობით სამედიცინო ექსპერტი, ექიმი თუ მეცნიერი. უკვე ჩატარებული უამრავი კვლევა და გამოცდილება აჩვენებს, რომ ვაქცინირებულ ადამიანებში ათჯერ დაბალია სიკვდილიანობა და მძიმე მდგომარეობა. ეს არის სტატისტიკა. იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია ვაქცინაცია, ბევრად დაბალია სიკვდილიანობა, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ვაქცინაცია ნელი ტემპით მიმდინარეობს. ლეტალობის ერთეული შემთხვევები, სამწუხაროდ, ვაქცინირებულებშიც იქნება, მაგრამ ჩვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, შემიძლია გითხრა, რომ რეანიმაციებში, ინტენსიურ თერაპიულ განყოფილებებში, სადაც წვანან არავაქცინირებული ადამიანები, ისინი ათჯერ მეტად დაუცველი არიან ვაქცინირებულებთან შედარებით“, – აცხადებს ალექსანდრე გოგინავა.

მისივე თქმით, ცხადია, არის შემთხვევები, როცა კორონავირუსი ვაქცინირებულებთანაც მიმდინარეობს მძიმედ, მაგრამ, თუ შევადარებთ ვაქცინირებულებს და არავაქცინირებულებს, ეს განსხვავება ათჯერ ნაკლებია. ამიტომ ამ სტატისტიკიდან უნდა ამოვიდეთ და არა ერთი და ორი თუნდაც ავტორიტეტული მეცნიერის მოსაზრებიდან. ყველა მოსაზრებას არსებობის უფლება აქვს, მაგრამ უნდა დავყვარდნოთ ავტორიტეტულ ორგანიზაციებს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტი **დევი ტაბიე** არ თანხმდება მოსაზრებას, რომ აცრილიც და აუცრელიც თანაბრად დაუცველია. დევი ტაბიე აცხადებს, რომ ადამიანი აცრილი რომ არაა და დასნებოვნდება, ეს არავის უკვირს, მაგრამ, თუკი ერთჯერადად აცრილს დაემარ-

ტება კორონავირუსი, ნაკლები შანსია, მდგომარეობა გართულდეს და ლეტალურად დამთავრდეს. ორჯერადად აცრილის გარდაცვალების შემთხვევა, დევი ტაბიის თქმით, საერთოდ არ ყოფილა, ამიტომ თანაბრობაზე საუბარი ზედმეტია.


„მართლ საქართველოში რომ იყვნენ ანტივაქსერები, რა გვიჭირდა, მთელ მსოფლიოს ჰყავს თავისი ანტივაქსერები, გვინახავს მათი გამოსვლები, გვინახავს საპროტესტო აქციები აკრძალვებთან დაკავშირებით, ეს იგივე ანტივაქსერობაა. რას დავარქმევთ, მნიშვნელობა არ აქვს. ეს ანტიკამპანია“, – აღნიშნა დევი ტაბიემ.

რაც შეეხება ცალკეულ უცხოელ ვირუსოლოგთა მოსაზრებას, რომ მასიური ვაქცინაცია დაუშვებელია პანდემიისას, რადგან ის ახალი ვირუსული შტამების გაჩენას იწვევს, რომლებიც რეზისტენტული არიან ვაქცინების მიმართ, დევი ტაბიე არ იზიარებს მოსაზრებას, რომ ვაქცინაცია კაცობრიობის განადგურებას გამოიწვევს.

„თუ ვაქცინაციას არ ჩაუტარებენ ადამიანებს, გენოციდი გეგმავენ, როგორც იქნება“, – მიიჩნევს იგი.

ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი ამბობს, რომ ეს ყველაფერი სპეკულაციებია, რაც იმისთვის კეთდება, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჯანდაცვის სისტემის მიმართ ნდობა შეირყოს. პანდემიის დროს ჯანდაცვის სისტემის მიმართ ნდობის შერყევა კი მეტად სერიოზული საფრთხეა.

„ცხადია, აცრილებიც იღუპებიან, რადგან 100%-იანი დაცვა ამ ვაქცინას არ აქვს, მაგრამ ვაქცინა მნიშვნელოვნად ამცირებს რისკს. სხვა საშუალება მედიცინას ჯერჯერობით არ აქვს, ამიტომ ვაქცინის ეჭვქვეშ დაყენება არაფრით არ შეიძლება. ჯანდაცვის სისტემა ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული სისტემაა, ჩვენ არ გვაქვს ამაზე უფრო ეფექტური და მძლავრი მექანიზმი, რომ თავი დაავიცვათ. თუ ამის მიმართ ნდობა დადგა ეჭვქვეშ, ამის აღდგენა იქნება ძალიან რთული. ასეთი ანტისისტემური ნაბიჯების გადადგმა საშიშია. თუ არსებობს პროტოკოლის შეცვლის აუცილებლობა, ეს უშუალოდ ჯანდაცვის სისტემის შიგნით უნდა განხილდეს. გარედან შეეუთითოთ ამ სისტემას, ეს დივერსიაა“, – გვითხრა დავით ზარდიაშვილმა.



ძველი სატვირთო

„წყალმა წაიღოს იმის ქონება, ვინც ვის უღალატოს!“...

ტფილისის უსახელო კრეისერები

XXI საუკუნეში, როცა, დიდი ხანია, მტკვარში აღარ ღაცურავენ ტივები, თბილისელთა მხსენებლობაში ტივი უპირობაა როგორც ქვიშისა და ღრმობის მკვლევარი საუბარება, როგორც ადგილობრივი დიდად უმუშაო ხელი თბილისის მატარებლისგან განსხვავებით: უმუშაო მტკვარში მოტივტივე პონტონებისა და ბაღდადის ცეცხლს, ღრმის ტბილია ჰანგამა და იქვე საათიო სტუმრებისთვის აშუშინებულმა ცხრინამ მშობლა...

არასაქვიშო ტივები

სხადია, მტკვარზე ტივით ქვიფი უცხო არც ძველ დროში იყო, მაგრამ საუკუნის წინანდელ თბილისში ტივი უფრო მეტად ასოცირდებოდა ყოველდღიურ მძიმე შრომასთან, ვიდრე ქვიფსა და დროსტარებასთან. როგორც ავა მორჩილად ამბობს („გაქრები მადათოვზე“), აქ არ იყო საქმი ქვიფისათვის, რადგან „ტივები მოჰყვებოდა ფრონესა, ქსანსა და დიასხვსა, შემოდინოდა მტკვარში, რათა ქვიფი იყო ხე-ტყე და ქალაქისათვის. დღემოკლე იყო ამ ქართლის კრეისერთა ცხოვრება – ისინი არსებობდა მხოლოდ წყალზე, მხოლოდ საგზაო დროით და მერე გახდებოდა ხოლმე კერძი მალაკის ბირდა-ბირისა...“

ტივების დაცურება, ტრანსპორტის ეს იაფი და მოხერხებული საშუალება, როგორც ჩანს, საქართველოში უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი, რასაც ხელს უწყობდა ტყეა მდიდარი მასივებისა და მთის ჩქარი მდინარეების არსებობა.

მრავალი წლის განმავლობაში სწორედ ტივებით ამარაგებდნენ თბილისის ხე-ტყითა და სურსათით, რაზეც წერს კიდევ გერმანელი მეცნიერი იოჰან გიულდენშტედტი, რომელმაც საქართველოში XVIII საუკუნის 70-იან წლებში იმოგზაურა:

„8 მისს გორიდან და მეტეხიდან თბილისში მოვიდნენ სხვადასხვა ტივები. ისინი შესდგებოდნენ 16 ფიჭვის მონისგან, რომელთა სიგრძე იყო 4 საუნი, სისქე კი – 1-1,5 ფუტი. ტივებს მართავდნენ ორი ნიჩბით, რომლებიც მოთავსებული იყო ტივის ბოლოებზე, ამ ტივებს მოჰქონდათ ხორბალი და ქერი. მარცვლეულის გაყიდვის შემდეგ ყიდდნენ ამ მორებსაც, თითო 5 აბაზად ანუ 1 მანეთად.“

თბილისში ტივებით ხე-ტყისა და სურსათის ჩატანა XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლომდე გავრცელებული იყო, მეტად შთამბეჭდავია XIX საუკუნის 80-იანი წლების სტატისტიკა, რომელიც იხურონ ნიკო კვეციანი-კოპაძეს მოტივტივე აქვს თავის წიგნში „გზათა მშენებლობა საქართველოში“:

1884 წელს ბორჯომიდან თბილისში ჩასულა 2 431 ტივი, 1885 წელს – 2 727, 1886 წელს – 2 807, 1887 წელს – 2 510.

ტივის ანგელოზი

„ძველი შეწყობილი წყალთა სავალად“ - ასეა განმარტებული სიტყვა „ტივი“ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, თუმცა მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორი წესით არიან „ძველი შეწყობილი“. როგორც ეთნოგრაფი ილია მაისურაძე 1969 წელს დაწერილ ნაშრომში „მეტივეობა მტკვარზე“ განმარტავს, ყოველი ტივი 10 ხისგან ანუ მონისგან შედგება.

„მონები უღლით იყო გაერთიანებული. უღელი სივანეზე ვადებოდა ძელია, რომელზედაც ამოხეულია სატივე მონები. მონებს გაკეთებული აქვთ ე.წ. საცხვირეები – წნელის თუ თოვის ჩასამშვლი ნახვრეტები. ამომბა ხდება რივით (მკვრივი გამოთლილი ჯობით), რომელზეც წენელს ამავრებენ, მონების ნახვრეტებში ამოატარებენ და უღელზე გადასვამავენ, ანუ მოქაჩავენ. იმდენჯერ მოატრიალებენ, სანამ მონი უღელს მჭიდროდ არ ამოვებება. უღელი რცხილის ან უხრავის ხისგან ითლება, წნელად კი ჩვეულებრივ კურატის (ნორჩი ნაძვის) ნეღლი ღერო ან თოვი იხმარება“, - წერს ილია მაისურაძე, რომლის თქმითაც, ტივის აგებულებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორი კიდური მონი, რომლებსაც მარქაფებს უწოდებენ:

„მარქაფები თავისი დანიშნულებით განსხვავდებიან ტივის ძირითადი მონებისგან: მარქაფები უღელში არ არიან ჩამბმული, არამედ მართო ერთი თავით მომიჯნავე მონს ემაგრებიან, ბოლოები კი თავისუფლად აქვთ გამოშვებული თოქჩამით, რომ საჭირო შემთხვევაში წყალში გაიშალონ ფარულეობით და ტივი წონასწორობაში მოიყვანონ, დაიცვან გადაბრუნებისა და დაჯახებისაგან. სწრაფი ცურვის დროს მარქაფა მონები მჭიდროდ ეკვრიან ტივის მთავარ ხეებს, მაგრამ როდესაც ტივი თხელ წყალში გაირიყებოდა, მაშინ მეტივეები მარქაფებს მოუშვებდნენ, განზე

გასწევდნენ, წყალი ქვეშ შეუდგებოდა, ამოაწვებოდა და ტივს დასძრავდა ადგილიდან.“

უღლის შუა ადგილზე, ცენტრალური მონის (დედა ხის) თავზე დასმულია ხის პალო – ჭოლოკინი - ოთაყვირის ჩამოსაცემელია. ჭოლოკინი, როგორც უღელი, ორია – ტივის თავსა და ბოლოში. შესაბამისად, ორია ორთაყვირით, რომლითაც ხდება ტივის მოძრაობის რეგულაცია და რომელსაც ნიჩბის დანიშნულება აქვს.



ტივები მტკვარზე

როგორც ილია მაისურაძის ნაშრომიდან ირკვევა, მტკვარზე უფრო ხშირად ერთმანეთზე გადაბმულ წყვილ ტივს აცურებდნენ.

ტივის გარეგანი

რადგან ტივს ორი ორთაყვირი ჰქონდა, სამართავითაც ორი კაცი სჭირდებოდა: მძვინავი და მძვინავი. მეწინავე იყო დამოკიდებული ტივისთვის მიმართულების მიხედვით და მისი დამონჩილება, რის გამოც მეწინავე ფიზიკურად ძლიერი, სწრაფი და მოხერხებული უნდა ყოფილიყო, რათა თავიდან აერიდებინა ყველა ის ხიფათი, რასაც მტკვრის მძლავრი დინება და მდინარის ქვიან-კლდოვანი კალაპოტი ქმნიდა და რომელთა გაუთვალისწინებლობა ტივის დაშლით ან გამორყევით შეიძლებოდა დასრულებულიყო.

მემოლოეს ნაკლები პასუხისმგებლობა ჰქონდა. ილია მაისურაძის მიხედვით, ის ორთაყვირის იმ მიზნით უსვამდა, რომ მეწინავესათვის შეეთანხმებინა ტივის უკანა ნაწილის მოძრაობა.

კარგმა მეტივემ ზედმიწევნით იცოდა მტკვრის ხასიათი, მისი დინების თავისებურებები, იოლად პოულობდა დინების მთავარ ძარღვს, რომელშიც ტივი დაუბრკოლებლად მიჰყვებოდა. მეტივემ ასევე იცოდა, თუ სად შეხედებოდა მორევი („ტრიალა“, „კრუტიელა“) ან ჩქერი („საჩქარი“, „საჩქეფი“), იცოდა მეტად სახიფათო მოსახვევები, რომლებიც თავწყლიდან გადახვევისა და გარყვინის საფრთხეს შეიცავდნენ, იცოდა ქვაყრილითა და ლოდებით მოფენილი ან კლდოვანი ნაპირებით შემოღობული კალაპოტი და ა.შ. - მოკლედ, სახიფათო ადგილების მთელი გეოგრაფია.

„ძალიერობისაგან ნაპირებიდან კლდეები ისეა გამოშვებული, როგორც კბილები, საჩქარი ადგილია და ტივს თუ ფრთხილად არ ჩაატარებდი, კლდეებს დაეჯახებოდა, მარქაფებს მოგლიჯამდა ხოლმე, ან სულ დაგვიშლიდა. კაცობიანისთან ისეთი კლდე იყო, რომ ტივი ქვეშ უძვრებოდა. ამ დროს მეტივეები წყალში უნდა გადახტარიყვნენ ან გაწოლილიყვნენ, თორემ გასრესამდა. მარცხიანი იმითმ ერქვა, რომ ესევე ვიწრო გასასვლელი იყო, კლდიანი და, თუ მარჯვდნენ არ ვიქნებოდით, ტივიდან მარგს გადაგვყრევიყნებდა“, - იხსენებდა ძველ ხელობას ლიკანელი მეტივე კოლა დათუნა-

ვილი, რომლის მონათხრობი ეთნოგრაფმა ილია მაისურაძემ ჩაიწერა.

მეტივეობა ყოფა

„მიმპალი ფოთოლი მძიმედ უშვებს ორთქლს. მოშორებით მონები ყრია: ზოგი გათლილია წყალზე დასაცურებლად, ზოგი – გაუთლელი. ერთ გაუთლელ მონში ორი ნაჯახია ჩასობილი. მოშორებით მეტივეები ყრიათ გამზადებულ ტივზე და ქვევიდან ტანსაზურავები უგიათ. მიმპალი ფოთლები ახლა უფრო მძიმედ უშვებენ ორთქლს. მზე იხრება. საღამოს უნდა ჩაუშვან ტივი“, - ასე აღწერს მეტივეობა შრომას გურამ რჩელიშვილი 1957 წელს დაწერილ მინიატურაში „მეტივეები ცოლებთან იქნებიან ღამე“, ესენი კი გიორგი ლეონიძის „მეტივეები“ არიან:

„სულ ოთხნი იყვნენ... სახეინჯები, ქაფიან ჩქერში ზვირთის მჩხელო... სულ იყვნენ ოთხნი... იაფინჯები, ნიგვზის ფოთლები, სველი ფეხები... მოჰყავდათ ტივი ტურვად შეკრული, ვით კილოვანი ნესტანჯარისა.“

მეტივეების უმეტესი ნაწილი ძირითადად ხაშურისა და ბორჯომის რაიონების იმ სოფლებიდან იყვნენ, რომლებიც მიწის სიმცირეს განიცდიდნენ და დამატებით სამუშაოს ეძებოდნენ. ეს სოფლებია: ახალდაბა, ტეზერი, ცხრამუხა, სატიო, ლიკანი, დვირი, ქვაბისხევი და სხვ.

„მეტივეები ჯანმრთელი, დარდიმანი, გულთა და მხიარული ვაჟკაცები იყვნენ. ყველა წინდებში ჩატანებული ფართო ყარამანდული შალვანი და ძველებური ჩოხა-ახალუხი; ფეხზე – ხარაზული ჩუსტები, წვივებზე – პაიჭები ლეკვერთხებითურთ, თავზე ეხურათ ნაზდის ან კრაველის მრგვალი ქუდი, წელზე ვერტყათ გობაკებიანი ვერცხლის ქაშანი ან ამრუმუმის სარტყელი, ჯიბეში კი ჭრულ ცხლასოცს ატარებდნენ. მეტივეის პორტრეტს ამოავრებდა მხარზე გადადებული მეტივეური გრძელპირიანი ფართონილიანი ცული და ბამბის გრეხილი თოვის ანახევი, რომელსაც თითქმის ყოველთვის მხარდილოვ გადადებულს ატარებდნენ. მუშაობის დროს მეტივე ფეხშიშველი და წვივებამდე შალვანაკეცილი იყო, წელს ზემოთ კი შილიფად ეცვა“ („მეტივეობა მტკვარზე“).

მეტივეები, როგორც წესი, 10-12-კაციან ამხანაგობებში ერთიანდებოდნენ. ყველაზე ხანდაზმულ წევრს ემარა ხეების ყიდვა-გაყიდვისა და ანგარიშსწორების საკითხი, ის ჭრიდა სადავო საკითხებსაც. ერთმანეთის მხარდაჭერით, გატანითა და მეგობრობით მეტივეთა ამხანაგობა ძალიან ჰგავდა ჰამქრის წევრთა ერთობას. „წყალმა წაიღოს იმის ქონება, ვინც ვის უღალატოს“, - ამგვარი ფიცი ჰქონდათ ერთმანეთში ნათქვამი, რასაც იმვითად თუ ვინმე გადავილოდა.

თბილისში ტივით ჩასულეები უკან ეტლით ბრუნდებოდნენ და, როგორც ყარაჩოლელებს სწევოდათ, გზადაგზა ისინიც გვარიანად ქვიფობდნენ ხოლმე და რა გასაკვირია, რომ პირველი სადღევრძელო „წყლის ანგელოზისა“ ჰქონდათ...

სატიო - ბოლო გარეგანი

„სატიოზე ტივი შევკარ, ტივი არის ნაძვის ხისა, ორთაყვირები მოვასხი,



ლადო გულიაშვილი მებობრებთან ერთად

მოსამხმელი არის წყლისა. ჩემო ტივო, მაშინ გაქვებ, რომ ქალაქში ჩასულიყო, თავს მუშტარი დაგვეხვეოდეს, სხვაზე მეტად გასულიყო“.

ბონაპარტ-ახალციხისა და ასპინძა-ადიგენის წიწვოვან ტყეებში მოჭრილი ხეებისგან შეკრული ტივები, როგორც მეტივეთა ამ ლექსშია, ქალაქში - თბილისში - ჩადიოდა, მცირე და დიდ სატივოზე იშლებოდა და შემოდ ან ხის მასალად გადიოდა.

„მასხოვს ის დრო, მტკვარზე ტივებით რომ დასუწავდნენ. სოფლებიდან თბილისში მოჰქონდათ ხილი, მოჰყავდათ ფრინველები, ეზიდებოდნენ ჭურჭელს... იმართებოდა მარაბა. ტივი უჩვეულო და ორიგინალური ტრანსპორტი იყო. მინახავს ტივზე ღამით ანთებული ჩინალდნები. მიედინებოდა მტკვარი და ბედს მინდობილი ტივი მიჰყვებოდა მის დინებას“, - ასე იხსენებდა ტივების შემოსვლას თბილისში ცნობილი მხატვარი ლადო გუდიაშვილი.

მტკვრის პირზე დაბმულ-ჩარიგებული ან მის ტალღებში მსრბოლი ტივები ძველი თბილისის განუყრელი ატრიბუტი იყო. რამდენიმე ადგილზე გამართული იყო სატივო - ტივების სამზერო. ერთი მათგანი უფრო ძველად ვერის უბანში, ბაღის მახლობლად იყო, მეორე კი - მადათოვის კუნძულთან.

იმის გამო, რომ, პოეტის თქმისა არ იყოს, ტივებს მხოლოდ დაღმა დინება შეეძლოთ, მათ შესაჩერებლად საგანგებო ძალისხმევა იყო საჭირო. „ჩუღურეთული მოთხრობების“ ავტორი, არჩილ სულაველი, ტივის ნაპირზე დამაგრებას ასე აღწერს:

„კბოღებზე თეთრად შეფეთილი ქობი იდგა. ქობის კარი უმაღლვე გაიღებოდა, თუ ხიდის თაღებში ტივი გამოჩნდებოდა. მეტივეები ღონინვრად უსვამდნენ ორთაყვირებს და ტივი თანდათან ნაპირს უახლოვდებოდა, ქობიდან გამოსული კაცი - მუნჯი თომა - ტივს რიყე-რიყე მისდევდა. მეტივეები მას მსხვილ თოკებს გადაუდებდნენ ხოლმე, მუნჯი ერთ-ერთს მაინც დასწვდებოდა, დაეძღაუჭებოდა და მთელი ძალ-ღონით ცდილობდა ტივის შეჩერებას: ფეხის ქუსლებით რიყის ქვევს ეჭვინებოდა, იძაბებოდა, იგრიხებოდა. ვეგნრთელა ტივი ასე მიათრევდა თომას, ვიდრე იგი მუნჯანის ხიდის ახლოს საგანგებოდ დარჩობილ სოლზე არ შემოახვევდა თოკს“ („წყალიდიობა“).



არჩილ სულაველი, ბიორბი შატბერაშვილი, ბრიგოლ აბაშიძე

სატივოზე დღედაღამ გაცხობილებული მოძრაობა და ფუსფუსი იყო. აქ ირეოდნენ სატივო მონების აღმშენებლობაში ჩაბმული მეტივეები, ვაჭრები, მექანხნეები და მათი ავან-ჩაფანი. მეტივეები თითო ტივში საშუალოდ 10-15 თუმანს იღებდნენ. ცალკე შემოსავალი იყო ტვირთის გადატანა და მგზავრების ჩამოყვანა.

თუ აკაკი წერეთელს დავეუწრებთ, ტივი, როგორც სამგზავრო საშუალება, გამოიყენა დავით ერისთავმა, როცა ბანკის მმართველობიდან ილიას გადასაყენებლად ტივებით ჩამოიყვანა ხალხი ქართლიდან. თუმცა საქართველოს ისტორია იცნობს მტკვარზე ტივით მოგზაურობის უფრო უცნაურ შემთხვევასაც, რომელიც საფუძვლად დაედო 19 საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრებელი ქართველი დრამატურგის, ზურაბ ანტონოვის (1820-1854), კომედიის „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“.

„შესჩვეოდნენ ქართველნი ტივით ჩამოსვლას ქართლით თბილისად... ტკობილია ტივზე ჯდომა და სიანური მტკვრისა გზითა. უნაბზან გიორგი გაგანინიან, აწ ლოფ-მეისტერმან, მოინდომა წამოსვლა გორიდან ტფილისის და ვიარეთ იმ გზით მე და მან 1851 წელსა სექტემბრის თვეში. დილით წამოსული მოვედით ს. გომსა. და მეორესა დღესა, 8 რიცხვსა, დალაქსა ტფილისსა, ტივზედ მჯდომელნი თავისუფლად და დაურეკოლმეოვ ვიკითხავდით წიგნთა და ვწერდით“, - ასე აღწერა ცნობილმა ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა მტკვარზე ტივით მოგზაურობა, რაზეც ზურაბ ანტონოვმა თავისი ცნობილი პიესა აღწერა.

ბე-ტყე, სურსათ-სანოვარე თუ სხვა საქონელი თბილისში ლამის XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლომდე ჩამოჰქონდათ, თუმცა ზაჰვისის აშენებისა და მტკვრის შეკუმების შემდეგ მეტივეები იძულებული გახდნენ, თბილისის ნაცვლად, მცხეთაში დაესრულებინათ თავიანთი მარშრუტი, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დედაქალაქის ყოველდღიური ყოფიდან სამუდამოდ გაქრნენ ქართლის წყლებიდან დაძრული ნაძვისა და ფიჭვის ტივები - „ტფილისის კრეისერები“, როგორც მათ ავა მორჩილაძემ უწოდა თავის წიგნში „ვაჭრები მადათოვზე“...

ჯიფხარ რახვიაშვილი,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

ქეთო ჯაფარიძის დაუპირისპირი რომანსები

ძირითადი საესტრადო ხელოვნება სათავეს ხალხური თამაშობებიდან იღებს („ბერიკაობა“, „ყენობა“ და სხვა), მეფის სასახლის კარისა თუ სოფელ-ქალაქების სუბარათა გამოხვედრები, აგრეთვე ზღაპრების და კაფია-გაშაირების ტრადიციის, რომელიც დღემდე ფართოდაა გავრცელებული ხალხში, განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში. ამ ჟანრის წინამორბედად უნდა მივიჩნიოთ ერეკლე I-ის დროინდელ ქართულ სახიობაში (სამსახიობო ჩვენებებში) - მანაბელა, საიათნოვა, იარალი შანშიაშვილი... ისინი საკუთარ სიმღერებს ასრულებდნენ.

XIX საუკუნეში დიდი ინტერესით და მხატვრულად კითხულობდნენ საკუთარ ნაწარმოებებს ცნობილი მწერლები და პოეტები. ასე მაგალითად, ალექსანდრე ყაზბეგი სცენაზე შესანიშნავად ასრულებდა მოხვედრებს და ჩერხურ ცეკვებს. პროფესიული ქართული საესტრადო ხელოვნების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ღვაწლი ვასო აბაშიძეს მიუძღვის, რომელმაც პირველმა შემოიტანა სცენაზე საჭირბოროტო სატირული ჟანრი, ეგრეთწოდებული „ვაი-ვუის კუპლეტები“. ტექსტს ამ „კუპლეტებისთვის“ თხზავდნენ - აკაკი წერეთელი, გიორგი აბაშიძე, „თაგუნა“, იოსებ გრიშაშვილი და სხვები.

XX საუკუნის 30-იან წლებში უკვე იქმნება სერიოზული საესტრადო ჯგუფები. საესტრადო ხელოვნება ერთ-ერთ მასობრივ ჟანრად იქცა. ჩამოყალიბდა სხვადასხვა მიმართულების საესტრადო ანსამბლები, არენაზე გამოჩნდნენ ინდივიდუალური შემსრულებლები. მათთვის, კომპოზიტორების მიერ, სპეციალურად იწერებოდა მუსიკალური ნაწარმოებები.

თავისი ფორმით და წყობით საესტრადო მუსიკა მსუბუქი ხასიათისაა, ადვილად და სწრაფად აღსაქმელია. მას პოპმუსიკის ჟანრში ერთ-ერთი ნამყვანი, გამორჩეული ადგილი უკავია. ამ მუსიკას, გემოვნების მიხედვით, შესატყვისი მომხმარებელი ჰყავს. იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის მასშტაბით უდიდესი წარმატება ჰქონდა მომღერალ ქეთო ჯაფარიძეს. რადიოს თაობას კარგად ახსოვს, საქვეყნოდ გაუღერებულ მისი ხმა, რომელიც შთამბეჭდავი, რბილი და ბარხატისებური ტემპრით, გატაცებით ასრულებდა ქართულ, რუსულ თუ ბოშურ რომანსებს.

რომანსს ზოგჯერ მღერადი ხასიათის საკრავიერ პიესებს უწოდებდნენ, აგრეთვე (იშვიათად) ლირიკულ პიესებსაც კი, რომლებიც გამოხატავენ წუთიერ განწყობილებას, სასიყვარულო განცდებს და ა.შ. სარომანსო მუსიკაში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება სასიმღერო მელოდიას, თუმცა მასში ინსტრუმენტული თანხვედრა არ შეიძლება მივიჩნიოთ ვოკალის უბრალო მუსიკალურ თანხლებად და დანამატად, ვინაიდან იგი საგრძობლად ამდიდრებს ნაწარმოების მხატვრულ დონეს, ჰარმონიას და სიფაქიზეს ძენს მას. რომანსის შესრულება მომღერლისგან მოითხოვს მის სრულ აღქმას. მცირე მოცულობის მუსიკალურ მონაკვეთში მან უნდა გადმოსცეს მთლიანი სურათი, მისი შინაგანი განწყობა, აზრი და შინაარსი. გარდა ამისა, მისი დახმარებით მომღერალს ეძლევა ამა თუ იმ ნაწარმოების შესრულების დახვეწილი მანერის, ვოკალური კულტურის და პროფესიული ჩვევების გამოუმუშავების საშუალება.

არიან მომღერლები, რომლებმაც მხოლოდ სარომანსო ჟანრს მიუძღვნეს მთელი თავისი შემოქმედება. ასეთთა შორისაა გასული საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთი აღიარებული და პოპულარული მომღერალი ქეთო ჯაფარიძე. მისი თავისებური მანერით და ხასიათით შესრულებულ რომანსებს აღფროვანებაში მოჰყავდა საბჭოთა მსმენელი. იმდროს,

ერთგვარ წესადაც კი იყო მიჩნეული. ქალბატონ ქეთევანს უამრავი ასეთი ბარათი ჰქონდა მიღებული მოსახლეობიდან. რაც შეეხება მის გამოსვლას საესტრადო სცენაზე, აქ მას ბადალი არ ჰყავდა, მოზღვავეული ოვაციები იმართებოდა, ხალხი დიდხანს არ უშვებდა მომღერალს სცენიდან.

ქეთო (ქეთევან) კონსტანტინეს ასული ჯაფარიძე 1901 წლის 11 თებერვალს დაიბადა ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშეთში. 1909 წელს სასწავლებლად შედის თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც მისი ძლიერი ხმა და სასიმღერო თვისებები ჩვენმა ცნობილმა კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა აღმოაჩინა, რომელიც იქვე მუსიკის პედაგოგად მოღვაწეობდა და სასწავლებლის გუნდს ხელმძღვანელობდა. 1919-21 წლებში სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში. მისი დამთავრების შემდეგ იგი ბერლინში მიემგზავრება, სადაც გერმანულ პედაგოგთან სასიმღერო ხელოვნებას ეუფლებოდა, პარალელურად გამოდიოდა კონცერტებით. 1930 წელს ჯაფარიძე სამშობლოში ბრუნდება. დაბრუნებიდან ერთი წლის შემდეგ თბილისში შედგა მისი როგორც საესტრადო მომღერლის დებიუტი. უკვე 1937 წელს იგი სოლო კონცერტით გამოდის მოსკოვში, ცნობილი „ერმოტაჟის“ სცენაზე.

დებიუტი მართლაც შთამბეჭდავი იყო. სულ მალე მომღერალი ლენინგრადის დასასვენებელი ბაღის თეატრალურ სცენაზე ტრიუმფით მართავს სოლო კონცერტს. ამ პერიოდიდან იგი ლენინგრადის სახელმწიფო ესტრადის მსახიობია. 1939 წელს მომღერალი ამავე ქალაქში გამართულ ესტრადის მსახიობთა პირველ საკავშირო კონცერტში ლაურეატი ხდება და პირველ პრემიას ეუფლება.

ნაწარმოების მუსიკალური სტრუქტურის ბოლომდე გახსნის, მთლიანად აღქმის და მაყურებელამდე მიტანის თვალსაზრისით ჯაფარიძე თავის უნიკალურ ხმას თავისუფლად და მრავალფეროვნად იყენებდა. იგი ამ ჟანრის უდაო ოსტატი გახლდათ. მას, უკვე ნაცნობ სიმღერებშიც კი ახალ-ახალი ნიუანსები შეჰქონდა და მაყურებელს სრულ ექსტაზსა და სულიერ განცდებში ამყოვებდა.

მომღერალმა თავი განსაკუთრებულად გამოიჩინა მეორე მსოფლიო ომის დროს. მან მთლიანად შეცვალა თავისი რეპერტუარი, დაიწყო პატრიოტული ხასიათის სიმღერების შესრულება, დიდი ინტერესით მღეროდა იმ დროს ქართველი კომპოზიტორების მიერ შექმნილ ნაწარმოებებს, რითაც მათ პოპულარობასაც ახდენდა. ჯაფარიძემ უამრავი კონცერტი გამართა სამხედრო ჰოსპიტლებსა თუ ფრონტის წინა ხაზზე. მიღებული ჰქონდა სამხედრო ხელმძღვანელთა არაერთი მადლობა და ჯილდო. 1942 წლიდან საკავშირო საგასტროლო საკონცერტო გაერთიანებას ხელმძღვანელობდა. ძველი გაზთებისა და ჟურნალეტებიდან მიღებული შთაბეჭდილების ამსახველ სტატიებს და რეცენზიებს.

1950-57 წლებში მომღერალი თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტია. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის ჩამოყალიბებაში. 1956 წელს მას „საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო ნიშანი“ მიენიჭა. იგი ცნობილი ქართველი პოეტის იოსებ გრიშაშვილის მეუღლე გახლდათ.

სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ მთელი 30 წლის განმავლობაში, ყოფილ საბჭოთა კავშირში - ქართული, რუსული და ბოშური რომანსების ბრწყინვალე შესრულებით, ორი ქართველი ქალბატონი გამოირჩეოდა და ქართულ ნიჭიერებას წარმოაჩენდა. ესენი გახლდნენ - თამარ წერეთელი და ქეთო ჯაფარიძე.

ქეთო ჯაფარიძე 1968 წელს გარდაიცვალა. 67 წლის ასაკში. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. 1976 წელს გამოცემული იქნა „რუსული საბჭოთა ესტრადის“ მიხედვით: „ქეთო ჯაფარიძემ ბოშური სიმღერის სტილს ქართული ნაციონალური სიმღერის ელემენტები შეესძინა, რითაც მისი შესრულება სრულიად მოულოდნელი, მეტად საინტერესო და ახალი შეფერილობით გაამდიდრა“.

მომღერალმა თავისი უჩვეულო, ერთობ ორიგინალური ხელოვნებით, რომანსის შესრულების თავისებური მანერით, ერთგვარი ტრადიცია დაამკვიდრა, რომელზეც შემდგომ უამრავი შესანიშნავი ქართველი მომღერალი აღიზარდა.

ბელა ქოჩიაშვილი.
გელ: 551491997





მირჩა ჯოანა: რუსეთის აბრეშვილ პოლიტიკას ვერ შევებუებით!

„საქართველოსა და უკრაინის ნათესავი მიღება დადასტურებულია ალიანსის ყველაზე მაღალ პოლიტიკურ დონეზე“

ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე მირჩა ჯოანა „ინტერნეტ-უკრაინას“ ექსპლუზიური ინტერვიუ მისცა, რომელშიც საქართველომ არის ნახსენები. „აქსენტი“ ამ ინტერვიულან თბილისისთვის აქტუალური ამონარიდების თარგმანს გთავაზობთ:

– უკრაინის ხელმძღვანელობას არაერთხელ განუცხადებია, რომ მოელის ნატოს განხორციელების სამიტიის გადაწყვეტილების აღსრულებას ქვეყნის ალიანსში მიღებისა და ამ მიზნით MAP-ის მინიჭების თაობაზე. რა წარმოადგენს ამ დროისთვის მთავარ წინააღმდეგობას, არსებობს თუ არა დროის რაიმე ზღვარი და როდის შეიძლება, დაიწყოს დიალოგი MAP-ის მინიჭების თაობაზე?

– ღია კარის პოლიტიკა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია ალიანსის ისტორიაში. მრავალი ქვეყანა მიუერთდა ნატოს კომუნის დასრულების შემდეგ. ღია კარის პოლიტიკა დადასტურებულია ვაშინგტონის შეთანხმებამაც, ამდენად, ის ჩვენი კონსტიტუციის ნაწილია. ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებები ძალაშია. ისინი მხარდაჭერის და მოკავშირეების მიერ და ძალაში რჩება. ვფიქრობ, ღია კარის პოლიტიკის, ასევე უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივის მთავარი პოლიტიკური დასტურები ალიანსის ლიდერების მიერ კვლავ რამდენიმე თვის წინ ბრიუსელის სამიტზე იქნა წარმოდგენილი, ასე რომ, ეს არაა ილუზია ან ფუჭი დაპირება, ეს რეალობაა.

რა თქმა უნდა, ამის მისაღწევად ყოველთვის არსებობს ფაქტორების ერთობლიობა: ერთი მხრივ – პრეტენდენტ ქვეყნებში რეფორმების მდგომარეობა, მეორე მხრივ – პოლიტიკური კონსენსუსი. შესაბამისად, ამ საკითხში არავითარი ავტომატიზმი არ არსებობს, თუმცა ყოველთვის ხდება წახალისება და ამას პირადად მეც ვაკეთებ, ვუცხადებ რა პრეტენდენტ ქვეყნებს, მტკიცედ და განუხრელად ვაპყენენ რეფორმებისა და რაც შეიძლება, ბევრ ფრონტზე ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობის გზას.

გაფართოებული შესაძლებლობების

მქონე პარტნიორის სტატუსი – ეს უზარმაზარი პოზიტიური ნაბიჯია სწორი მიმართულებით. ვაკვირდები, როგორ იყენებს ამ სტატუსს საქართველო, რომელმაც ის ოდნავ უფრო ადრე მიიღო. ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

– რა როლს თამაშობს ნატოსთვის რუსეთის ფაქტორი MAP-ის მინიჭების გადაწყვეტილების მიღებაში? რამდენად მნიშვნელოვანია ალიანსისთვის რუსეთის უკმაყოფილება?

– ნატოცა და მე ვიტყვოდი, ევროკავშირიც (რაკი ჩვენ ერთი მედლის ორი მხარე ვართ) ემყარება იმ ფუნდამენტურ აზრს, რომ ევროპაში გავლენათა სფეროების პერიოდი ერთხელ და სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. ნატოს გაფართოების ბოლო ტალღა სულ ორიოდ წლის წინ ვიხილეთ. ასე, რომ საუბარია არა მესამე მხარეების კმაყოფილება უკმაყოფილებაზე, არამედ ფუნდამენტურ პრინციპზე, რომლის მიხედვით, სუვერენულ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, თავად ირჩევდნენ საკუთარ ბედს და თუ რომელიმე ქვეყნის ხალხი და ხელმძღვანელობა დასავლური ინსტიტუციებისკენ ისწრაფვის, ჩვენ ამას მხარს ვუჭერთ და ვახალისებთ. არავის აქვს უფლება, ევროპაში მეზობლებს ესა თუ ის გზა უკარნახოს, მათ ნაცვლად აირჩიოს მათი ბედი და მომავალი. სწორედ ამაშია ნატოსა და ევროკავშირის არსი.

ალიანსის „დნ“-ის კიდევ ერთი განუყოფელი ნაწილია ნატოს მუდმივი ადაპტაცია ცვალებადი გარემოს მიმართ, სწორედ ამიტომაც ალიანსი ამდენი ათწლეულია, ესოდენ წარმატებული. ეს ყოველთვის მარტივი როდი იყო, თუმცა ცვალებადი სამყაროს მიმართ ადაპტაციის ყოველთვის ვახერხებდით. წინა – ბრიუსელის სამიტზე ალიანსის ლიდერები მიუთანხმდნენ, დაეწყოს მას შტაბური

ძალისხმევა ტრანსფორმაციისთვის, საუბარია სტრატეგიულ კონცეფციაზე ნატო-2030. მე მოვუწოდებ პრეტენდენტ ქვეყნებსაც, წევრობისკენ ისწრაფვის პარალელურად, აქტიურად ითანამშრომლონ ჩვენთან სატრანსფორმაციო პროცესებშიც – მდგრადობის, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების, კლიმატის ცვლილებების, კოსმოსის, თავდაცვის მიმართულებით, რათა დავერწმუნდეთ, რომ ერთად შევძლებთ ადაპტაციას ცვალებად სამყაროში.

– როგორც პრეზიდენტმა ზელენსკიმ აღნიშნა, უკრაინას სურს, მიიღოს ნატოში ინტეგრაციის ახალ ეტაპზე გადასასვლელად საჭირო რეფორმების მკაფიო ჩამონათვალი. ამირებს ალიანსი ამ ჩამონათვალის მოწოდებას?

– არსებობს რეფორმების პროცესული პროგრამა, რომელიც გაფართოებაში უზრუნველყოფს ევროკავშირის მონაწილეობას. მოხერხდება თუ არა, თბილისი ადვანსი იმას, თუ რას მიაღწიან საბათმშობლო, რომელმაც ეს სტატუსი ცოტა უფრო ადრე მიიღო. ამდენად, ვფიქრობ, ბა უკრაინას არსებობს საჭირო რეფორმების განსაზღვრის შესაძლებლობა და უნდა დაიწყოს, რომ ისინი სათანადოდ სორცინელდება.

– გეგმავს თუ არა ნატო შავ ზღვაში წარმოდგენილობის გაზრდას?

– შავი ზღვის რეგიონს გამორჩეული მნიშვნელობა აქვს ნატოსთვის. რატომ? იმიტომ, რომ რუსეთმა ყირიმის უკანონო ოკუპაცია არა მარტო ძალის გაფართოებისთვის, არამედ როგორც ხმელეთის, ისე ზღვის გარკვეული ნაწილის კონტროლისთვის გამოიყენა. ეს ასევე წარმოადგენს ძალის გაზრდას ახლო აღმოსავლეთისკენ, ხმელთაშუა

ზღვისპირეთამდე. ამიტომაც ფაქტორების ერთობლიობა შავ ზღვას ალიანსისთვის ძალზე მნიშვნელოვანად აქცევს.

შავ ზღვაში ნატოსა და ჩვენი მოკავშირეების საზღვაო წარმოდგენილობა საკმაოდ ფართოა. ჩვენ აქ წელიწადში 6 თვეზე მეტი დროის განმავლობაში ვართ მუდმივად წარმოდგენილები. ამასწინათ შესრულდა ბრიტანეთის, ნიდერლანდების მისიები. აქტიურად ხორციელდება საჰაერო სივრცის პატრულირება. სანამ ვსაუბრობთ, საჰაერო სივრცეში ჩვენი ბრიტანელი მეგობრები პატრულირებენ, მანამდე იყენებენ გერმანელები, კიდევ უფრო ადრე – ესპანელები, კანადელები, იტალიელები. ეს საკმაოდ ფართო საქმიანობაა, რომელიც შავი ზღვის რეგიონში ხორციელდება.

თუ საკუთრივ წვრთნებზე ვისაუბრებთ, წლის პირველ ნახევარში ჩავატარეთ მასშტაბური წვრთნები „Steadfast Defender 2021“. ეს ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სწავლება იყო ბოლო 20 წლის განმავლობაში. რასაც შავი ზღვის სუბრეგიონისა და მთელი ევროატლანტიკური სივრცისთვის ვაკეთებთ, ადასტურებს, რომ ჩვენ განუზღვრად ვაკვირდებით ალიანსის უსაფრთხოებას 360 გრადუსში და შავ ზღვას ჩვენს დღის წესრიგში წამყვანი ადგილი ექნება.

– რას ფიქრობს ნატო უკრაინული მხარის ინიციატივაზე სახელწოდებით „ყირიმის პლატფორმა“?

– უკრაინის ამ მნიშვნელოვანმა ინიციატივამ საერთაშორისო თანამეგობრობის, ევროატლანტიკური ოჯახის მხრიდან პოზიტიური გამოხმაურება და მხარდაჭერა პოვა (ევროკავშირისა და ნატოს ყველა მოკავშირემ მთელს მსოფლიოში მკაფიოდ განაცხადა, რომ არასოდეს ვალიარებთ უკანონო, ამორალურ ანექსიას). ეს პლატფორმა ნამდვილად სასარგებლოა და აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული, როგორც რუსეთის მიმართ მუდმივი ყურადღების, მასზე მუდმივი ზედწოდების, ამ თემის საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში მუდმივად წარმოდგენილობის ძალზე სასარგებლო ინსტრუმენტი. ვთვლი, რომ ეს ინიციატივა მოიტანს ასევე სტრუქტურირებულ მექანიზმს პოლიტიკურ, პრაქტიკულ და საექსპერტო დონეებზე.

ყველაზე დანიტარსება უნდა იქნას, ღირსეულად, რომ რუსეთის ძალზე აბრეშვილ პოლიტიკური დასავლეთისთვის, რომ ევროპაში აბრეშვილ ტერიტორიულ ცვლილებებს არასოდეს შევებუებით. სწორედ ამიტომ უნდა ხელახლდნენ ალიანსის წევრობის პრაქტიკულად ჩვენში ნამდვილად, გრძელვადიან მემორანდუმს.

თალიბანი მთავრობას წარაუბნის

მოძრაობა „თალიბანი“ ავღანეთის ახალ მთავრობას მომდევნო კვირაში დაასახელებს. მოძრაობის პრესსპიკერმა ზაბიულა მუჯაჰიდიმ განაცხადა, რომ ახალი მთავრობის ჩამოყალიბება ეკონომიკური კრიზისის დაძლევისა და ვალუტის კურსის ვარდნის შეჩერებას შეუწყობს ხელს.

ამასთან, მუჯაჰიდიმ, აშშ-ის მიერ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ავღანეთის ტერიტორიაზე განხორციელებული ავიაციური დაგმობა, თუმცა მომხდარის მიუხედავად დასავლეთის ქვეყნებს დიპლომატიური ურთიერთობების შენარჩუნებისკენ მოუწოდა.




როგორც კენედის მკვლელობის შემთხვევაში გავაგრძელებთ

პალიწმინდის შტატის შეწყობის კომისიამ სენატორ რობერტ კენედის მკვლელობის შემთხვევაზე, 77 წლის სირჰან სირჰანის ვადაზე ადრე გათავისუფლებას მხარი დაუჭირა. შეწყობის კომისიის გადაწყვეტილება არ ნიშნავს, რომ მსჯავრდებული ავტომატურად გათავისუფლება. საბოლოო გადაწყვეტილება კალიწმინდის გუბერნატორმა, გევინ ნიუსამმა უნდა მიიღოს. „ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. ის ახალგაზრდა იმპულსური ბავშვი, რომელიც ვიყავი, აღარ არსებობს“, – განუცხადა სირჰანმა კომისიის წევრებს.

სირჰან სირჰანმა ვადაზე ადრე გათავისუფლების თხოვნით კომისიას უკვე მეთექვსმეტედ მიმართა. კომისიამ მკვლელობისთვის ბრალდებულის გათავისუფლებას მხარი მას შემდეგ დაუჭირა, რაც მას მამის მკვლელის გათავისუფლების თხოვნით კენედის შვილებმაც მიმართეს.

„მე გვინდა, რომ ნებისმიერი პატიმარი, რომელიც არ წარმოადგენს საფრთხეს საკუთარი თავისთვის ან მსოფლიოსთვის, უნდა გათავისუფლდეს“, – ციტირებს საავტენტო „ესოპიტიდ პრესი“ დუგლას კენედის სიტყვებს. 1963 წელს მოკლული პრეზიდენტის ჯონ კენედის უმცროსი ძმა, რობერტ კენედი დემოკრატიული პარტიიდან პრეზიდენტის პოსტზე იყრიდა კენჭს. ის 1968 წელს საარჩევნო კამპანიის დროს მოკლეს. წარმოშობით პალესტინელი, სირჰან სირჰანს 1969 წელს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ სასიკვდილო განაჩენი სამუდამო პატიმრობით შეცვალეს.



ტრიუმფი

20 მედალი პოლონეთიდან

უკვე გაუწყვეტ ქართველ ძალოსანთა ჩინებულ სტარტის შესახებ პოლონეთში დაწყებულ ქაბუკ ძალოსანთა (15 და 17-წლამდელები) ევროპის ჩემპიონატზე - მათ ორ დღეში 9 მედალი მოიხვეჭეს.

ზურაბ ანთაურისა (ვაჟები) და თემურ ჯანჯღავას (გოგონები) განვრთნილმა „ჯვაროსნებმა“ შემდგომ დღეებშიც დიდებულად იასპარეხეს და აქამდე არნახული ნადავლი დაბრუნდნენ სამშობლოში.

15-წლამდელები: ლევან ოჩიგავა (73 კგ). „ოქრო“ - ატაცო, აკვრა, ორჭიდი. საბა ადამია (81 კგ). „ბრინჯაო“ - აკვრა, ორჭიდი. მარიამ მურღვლიანი (81 კგ). „ოქრო“ - ატაცო, აკვრა, ორჭიდი. აღსანიშნავია, რომ ხონელმა გოგონამ (პირადი წვრთნელი აკაკი კაკაბაძე) ერთბაშად 9(!) რეკორდიც დაამყარა. 17-წლამდელები: ნიკოლოზ ესართია (73 კგ). „ოქრო“ - ატაცო, „ვერცხლი“ - აკვრა, ორჭიდი. ასე რომ, ჩვენმა გუნდმა თანატოლთა კონტინენტური ფორუმი 20(!) ვილდოთი დაასრულა, საიდანაც უზუსტად ნახევარი - 10 უმაღლესი ხარისხისაა.




თაოჯა

ლოლაქის ეპროვა

ლატვიის დედაქალაქ რიგაში ქაბუკ ძიუდოს-ტა შორის ევროპის ჩემპიონატი გაიმართა, სადაც 81 კგ წონით კატეგორიაში ალმისანდრა ლოლაქი ოქროს მედალს დაეუფლა.

ლოლაქი პირველი წრისგან თავისუფალი იყო და ასპარეზობა იტალიელ ნიკოლა კიარისთან გამარჯვებით დაიწყო. შემდეგ მან რუმინელი ბოგდან პეტრე დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც რუსი ილია მუსატოვი დაჯაბნა. ფინალში ალექსანდრემ ფრანკ ჯეისონ ოკოის მოუგო და ქაბუკა შორის ევროპის ჩემპიონი გახდა. საქართველოს ნაკრებმა ორი ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა. 90 კგ წონით კატეგორიაში არჩილ მამულაშვილმა ბოლო შესვედრაში აზერბაიჯანელ ალირზა შხალიზადას სძლია, +90 კგ წონით კატეგორიაში კი კვარცხლბეკზე საბა ქარდავა ავიდა, რომელმაც ანალოგიური გზა განვლო, ნახევარფინალში ნააგო და მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კვიპროსელ იანის ანტონიუს აჯობა. საქართველოს ნაკრებმა ევროპის ქაბუკა ჩემპიონატზე 17 ძიუდოსტით იასპარეზა და გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილზე გავიდა.



„ჯვაროსნები“

სანიოლის რჩეულნი

სპეციალისტმა გუნდში 26 ფეხბურთელს უხმო, საიდანაც 5 დებიუტანტი, თუმცა უკანასკნელ მონენტში მათ ტრავმირებული სპირტა კაპრანცისი გამოაკლდათ, რომელიც გიორგი ნიტიანიშვილმა შეცვალა.

ეროვნულ ნაკრებში პირველად გამოიძახეს ლუკა ლოჩოშვილი, საბა ხვადაგიაიანი, გიორგი ფანცულაია, ვლადიმერ მამულაშვილი და სანდრო ალთუნაშვილი. როგორც ხედავთ, ოთხი მათგანი საქართველოს ჩემპიონატს წარმოადგენს.

ნაკრებს დაუბრუნდნენ გიორგი ჩაკვეტაძე, რომელმაც ბოლოს „ჯვაროსნების“ ლიდრება გასული წლის სექტემბერში დაიწვა და ვაკო ყაზაიშვილი, რომელიც კოვიდრეგულაციების გამო აქამდე სამხრეთ კორეიდან ჩამოსვლას ვერ ახერხებდა. ყველაზე მეტი ფეხბურთელი ბათუმის „დინამოდანა“ გამოძახებული - 7 მოთამაშე. სონვეულთა შორის არ არიან თორნიკე ოქრიაშვილი, ნიკა კვეციავა, ვაკო გვილია, გიორგი მკარაძე და სოლომონ კვიციანი.

საქართველოს ნაკრებში შემადგენლობა ასეთია: მეკარეები: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე (ბათუმის დინამო, საქართველო) მცველები: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), დავით

ხოჭოლავა (კოპენჰაგენი, დანია), გურამ გიორბელიძე (დრეზდენის დინამო, გერმანია), გრიგოლ ჩაბრძაძე (ბათუმის დინამო, საქართველო), ირაკლი აზაროვი (ბათუმის დინამო, საქართველო), ლუკა ლოჩოშვილი (ვოლფსბერგერი, ავსტრია), საბა ხვადაგიაიანი (თბილისის დინამო, საქართველო); ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა (სლოვანი, სლოვაკეთი) გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), საბა ლობჯანიძე (პატაისფორი, თურქეთი), ვაკო ყაზაიშვილი (ულსან ჰიუნდაი, სამხრეთ კორეა), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), ზურიკო დავითაშვილი (არსენალი, რუსეთი), ჯაბა ჯილაური (ბათუმის დინამო, საქართველო), ოთარ კი-

ტივილი (შტურმი, ავსტრია), მურთაზ დაუშვილი (აპოელი, კვიპროსი), ვლადიმერ მამულაშვილი (ბათუმის დინამო, საქართველო), სანდრო ალთუნაშვილი (ბათუმის დინამო, საქართველო); თავდამსხმელები: გიორგი მიქაუტაძე (მეცი, საფრანგეთი), გიორგი ქვილითაია (აპოელი, კვიპროსი), გიორგი ფანცულაია (ბათუმის დინამო, საქართველო).

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები მზადდებას დღეებია და ბათუმში მოემზადება, სადაც 2 სექტემბერს, მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში კოსოვოს უმასპინძლებს (20 საათი). 5 სექტემბერს სანიოლის გუნდი ბადახოსში ესპანეთს ესტუმრება (22:45 საათი), ხოლო 8 სექტემბერს სოფიაში ბულგარეთს ამხანაგურად გაეჯიბრება (20:30 საათი).

სტამბოლის პატი

პრიზების, ნილისყრას

რომორც მოგეხსენებათ, გასადა ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩს სანტ პეტერ-ბურგი უმასპინძლებს.

მართალია, წლეულს იგივე პატივი სტამბოლს ხვდა წილად, მაგრამ თურქეთში იმ პერიოდში გართულებული კოვიდ-ვიტარების გამო სატიტულო შესხვედრა ჩვენს მეზობლად აღარ გამართულა, ამიტომ ერთგვარი კომპენსაციის სახით ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის ნილისყრა და შარშანდელი სეზონის ლაურეატთა დაჯილდოება უფვამ სწორედ ბოსფორის სანაპიროზე დანიშნა, სადაც მთელი საფეხბურთო ბოლონი რეგულაციების სრული დაცვით შეიკრიბა. ლონისძიება უფვას პრეზიდენტის - ალექსანდრ ჩეფერინის (სლოვენია) პრიზის გადაცემით გაიხსნა, მისი მფლობელი კი ის 9 პირი გახდა, ვინც დიდი წვლილი შეიტანა ევრო - 2020-ზე დანიელთა ლიდერ კრისტინანს ერიქსენის გადაარჩენაში, მათ შორის ამ გუნდის ექიმები, უფვას სამე-



დიცინო ოფიცრები, კოპენჰაგენის „პარკენის“ სტადიონის თეთრხალათიანები და ვიკინგების კაპიტანი სიმონ კიეური. თვით აღნიშნული ჯილდო 1998 წელს დაწესდა და სხვადასხვა დროს იგი ისეთმა კორიფეებმა დაიმსახურეს, როგორებიც არიან დი სტეფანო, ეუსებო, კრუიფი, ბეკენბაუერი, კანტონა, მალდინი, ტოტი და სხვები.

რაც შეეხება ნომინაციებს, მათი გამარჯვებულნი გახდნენ (ქალებში -

მხოლოდ „ბარსელონას“ წარმომადგენლები). მეკარე - მენდი („ჩელსი“), პანიოსი; მცველი - დიაში („სიტი“), პარედესი; ნახევარმცველი - კანტე („ჩელსი“), პუტელასი; თავდამსხმელი - შალანდი („დორტმუნდი“), ჰერმოსო; მწვრთნელი - ტუხელი („ჩელსი“), კორტესი; ფეხბურთელი - ჟორჟინიო („ჩელსი“), პუტელასი.

ცერემონიის გვირგვინი - ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის კენჭისყრა ბრანისლავ ივანოვიჩისა და მიკაელ ესინის მონაწილეობით გაიმართა, სტარტი კი 14-15 სექტემბერსაა დანიშნული. „აჯგუფი“ - „სიტი“, „პარი სენ-ჟერმენი“, „ლაიფციგი“, „ბრიუგე“, „ბ. ჯგუფი“ - „ატლანტიკო“, „ლივერპული“, „პორტუ“, „მილანი“, „ა. ჯგუფი“ - „სპორტინგი“, „დორტმუნდი“, „აიაკსი“, „ბეშიქთაში“, „დ. ჯგუფი“ - „ინტერი“, „რეალი“, „შახტარი“, „შერიფი“, „ა. ჯგუფი“ - „ბაიერნი“, „ბარსელონა“, „ბენფიკა“, კიევის „დინამო“, „ა. ჯგუფი“ - „ვილიარეალი“, „მანჩესტერი“, „ატლანტა“, „იანგ ბოიზი“, „ზ. ჯგუფი“ - „ლილი“, „სევილია“, „ზალცბურგი“, „ვოლფსბურგი“, „ა. ჯგუფი“ - „ჩელსი“, „იუვენტუსი“, „ზენიტი“, „მალმიო“.

ყველას რაიმე აქვს სასწოვარი



1984 წლის 29 იანვარი. კურორტი ესენტუკი. ბავშვობის მეგობრები, ნათლია და ნათლული (მარჯვნიდან): თბილისის ტრამვაიტროლეებულების სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი მამუკა გურიელი და თსუს შურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი გია პლატონიშვილი ზუგდიდელ დამსვენებელ გუჯა ხარებაგასთან ერთად. გუშინ მამუკა გურიელს 60 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ! ფოტო საოჯახო ალბომიდან

დღოჯა

რისხვიც, სტატუსიც...

საერთაშორისო ასპარეზზე ქართველ მსაჯთა რაოდენობა და დამსახურება იზრდება. რამდენიმე დღის წინათ ფიბა-ს ლიცენზია კიდევ ერთმა ქალბატონმა - მაკა შალამბერიძემ მიიღო, ხოლო მიხეილ ვართანოვი და კირილე თვაური ფიბა-ს მსაჯთა იერარქიულ საფეხურზე დაწინაურდნენ.

საქართველოს ისტორიაში აქამდე ერთადერთი ფიბა-ს ლიცენზირებული ქალბატონი ჰყავდა - მაკა კუპატაძე. ამიერიდან მას მოსახელე -

მაკა შალამბერიძე შეემატა, რომელმაც 27 წლის ასაკში მიიღო ფიბა-ს ლიცენზია და ამიერიდან სუპერლიგასა და შიდა ჩემპიონატებთან ერთად საერთაშორისო მატჩებს მოემსახურება.

ამავდროულად, ფიბა-მ ეგრეთ ნოდებული შავი ლიცენზია მიანიჭა მიხეილ ვართანოვსა და კირილე თვაურს. ორივე მათგანი წელიწადზე მეტია, რაც ფლობენ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ლიცენზიას, თუმცა მათ აქამდე ტურნირების

მომსახურების არეალი შეზღუდული ჰქონდათ. შავი ფერის ლიცენზიის მიღების შემდეგ კი ვართანოვის და თვაურს ფიბა-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი ტურნირის მატჩების მომსახურება შეუძლიათ.

ფიბა-ს სანაკრებო და საკლუბო ტურნირები შემოდგომიდან განახლდება და საერთაშორისო ლიცენზიის მქონე ქართველი მსაჯებიც საქმეში აქტიურად ჩაერთვებიან. შეგახსენებთ, რომ ვართანოვთან, თვაურთან და შალამბე-



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

30 აპრილი 2021

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად შემდეგ სპეციალობებში:

სპეციალობა	ვაკანსია
მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილება	
მეცხოველეობა	1
გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილება	
სატყეო საქმე	1
სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილება	
ბიოტექნოლოგია	1

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერებათა დოქტორის, დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი აგრარული მეცნიერების განვითარებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატთა წამოყენების უფლება აქვთ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო საზოგადოებებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი საბუთები (ორ ეგზემპლარად): სამეცნიერო ან აკადემიური საბჭოს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრის (წევრების), სამეცნიერო ტრადიციების მქონე ინსტიტუტების, ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლებისა და სამეცნიერო საზოგადოებების წარდგინება სათანადო დასაბუთებით, დამონებული წარმოდგენის ხელმოწერითა და იმ დანესებულების ბეჭდით, სადაც იგი მუშაობს, კანდიდატის ავტობიოგრაფია, ფოტო 4X6 (2 ცალი), სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (დამონებული ნოტარიულად), მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV), ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები აღინიშნება ვარსკვლავით), დარგის სპეციალისტის მიერ კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება (დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში ნოტარიულად დამონებული თარგმანი).

კანდიდატის პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა სამუშაო ადგილიდან საქართველოში მისი მოღვაწეობის დასადასტურებლად.

საბუთები კანდიდატთა რეგისტრაციისათვის მიიღება (იგზავნება) საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში. განცხადებები მიიღება 2021 წლის 30 აპრილამდე 18 სექტემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ი. ჯავახიშვილის ქ. №51, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (კანცელარია, ტელეფონი: 2 94 13 21). საბუთების მიღება ინარმოებს ყოველი სამუშაო დღის 11 საათიდან 17 საათამდე.

აღნიშნული განცხადება და კანდიდატის მონაცემები (CV) განთავსდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვებ-გვერდზე (www.gaas.dsl.ge), რისთვისაც წარმოდგენილი უნდა იქნეს CV-ის ელექტრონული ვერსიაც.

შენიშვნა: დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში (ტელეფონი: 2 96 03 00).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

კოვიდ-19-ის დასაძლევადი ღონისძიებების 5 ობიექტი დაილუქა და 6 დაჯარიმდა

შრომის ინსპექციის სამსახურმა ზომები მიიღო ობიექტებზე გამოვლენილი ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული რეკომენდაციების კრიტიკული შეუსაბამობების გამო მიიღო. ერთ ობიექტთან მიმართებით შრომის ინსპექციამ პრევენციული დალუქვის მექანიზმი გამოიყენა. კერძოდ, ბარი ღონისძიების გამართვამდე, დაგეგმილი გასართობი აქტივობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დალუქა.

მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოვლენილ დარღვევებს შორის კვლავ სოციალური და ფართომასშტაბიანი გასართობი ღონისძიებები ქარბობს. დაჯარიმებულებს შორის 5 იურიდიული და 1 ფიზიკური პირია. ორი კვირის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, რეგულაციების დარღვევისთვის 20-ზე მეტი ობიექტი დაილუქა. დაჯარიმდა 46 ბიზნესოპერატორი, მათ შორის 29 იურიდიული და 17 ფიზიკური პირი.

გამოთხოვება

პაატა გიორგაძე საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისთვის მუშაობის კასი



გარდაიცვალა ახალგაზრდა მეცნიერი და მკვლევარი, საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პაატა გიორგაძე.

პაატა გიორგაძე ათეული წლების განმავლობაში ფასდაუდებელი შრომა გასწია, რათა მოეძებნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გასაღები. ამისათვის მან შეისწავლა სხვა განვითარებული ქვეყნების მაგალითები და მიხვდა, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ერთადერთი გზა და საშუალება იყო ბუნებრივი რესურსი, მინისქვეშა გრუნტის სასმელი წყლის მარაგები უნიკალური ხარისხით.

ახალგაზრდა მეცნიერმა მისი წინამორბედი მეცნიერების მასალებზე დაყრდნობით შეისწავლა საქართველოს მინისქვეშა სასმელი წყლების მოცულობისა და ხარისხის ჰიდროგეოლოგიური მონაცემები.

მანვე განსაზღვრა ბუნებრივი წყლის მარაგებიდან ამოსაღები რაოდენობა და წყლის საექსპორტოდ გატანით დღევანდელი მოცულობა განსაზღვრა და ჩამოაყალიბა მისი შემდგომი გაფართოება-განვითარების პროგრამა.

პაატა გიორგაძემ მოახდინა წყლის მოცულობის კაპიტალიზაცია, ანუ შექმნა ფინანსური ინსტრუმენტი, რაც დაედო საფუძვლად ფულის მოზიდვის უალტერნატივო პირობას. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით მოიპოვა წყლის ინდუსტრიის დამფინანსებელი, კერძოდ, მსოფლიო დაფინანსების კერძო საინვესტიციო ფონდი, რომელთანაც დღესაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები და გრძელდება ურთიერთობები.

შედგენილია ფულის მოძრაობის (5 მილიარდ. \$) სქემა, განსაზღვრულია წყლის შესყიდვების გზები და მოგების მოცულობა. გაეროს მონაცემების მიხედვით, დღეს მსოფლიოს უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 5 მილიარდი ადამიანი (დღიური ხარჯვითი ნორმა 2-3 ლიტრი დღეში) ვერ ღებულობს ბუნებრივ სასმელ წყალს. მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანას აქვს შესაძლებლობა, ეს პრობლემა ნაწილობრივ გადაჭრას და ამით საქართველოში შემოვიდეს დიდადი კაპიტალი. ეს ფინანსები კი მოხმარდეს ქვეყნის ძირითადი დარგების განვითარებას.

ამ მიმართულებით პაატა გიორგაძე ფასდაუდებელი შრომა გასწია. და შემოუშავა 17 დარგის განვითარების ეკონომიკური პროგრამები.

პაატა გიორგაძემ 2019 წელს დააფუძნა სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისთვის“, რომლის თავმჯდომარეც იყო.

საქართველოს ყველა რეგიონში შექმნილია რეგიონული და პირველადი ორგანიზაციები, სადაც უკვე განვითარებულია ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი.

შემოთ აღნიშნული და ჩამოთვლილი მოღვაწეობა და მეცადინეობა მას დაუჯდა ძალიან ძვირად. ადრე მასზე ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ტერორი და მუქარები.

ყველა ეს მასშტაბური პროექტები შექმნა დიდი ბრძოლითა და თმენის მემკვიდრეობით.

დღეს, როცა გაჩნდა იმედი ამ უნიშვნელოვანესი საავტორო პროექტის განხორციელებისა და ამ გზას უკვე დავადექით კიდევ, ზუსტად ახლა გამოგვეცალა ხელიდან ეს ღვიფრული ადამიანი.

პაატა გიორგაძის შეკრებილი გუნდი, მისი მეგობრები და თანამებრძოლები ვბრძობთ მის ნათელ სულს და საქართველოს მოსახლეობას, რომ ბოლომდე მივიყვანოთ მის მრავალწლიან ნაშრომ-ნაღვანს, ამ საქვეყნო საქმეს ექნება კარგი დასასრული ნებისმიერი მთავრობის პირობებში.

პაატა გიორგაძის გმირულ მოღვაწეობას და მის სახელს უკვდავყოფს ქვეყანა და ქართველი ხალხი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მედიკომპლექსი კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაპელიძე;

ამავე კომისიის წევრები, სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისთვის“ დამფუძნებლები ნოდარ ჩხეიძე, ზაურ ციხელაშვილი, რომან რურუა, ზურაბ აბაშიძე, ენვირ ნიშარაძე, ნატალია ზაქარაიშვილი, გიგა ბათიაშვილი, გურამ სალარაძე, რევაზ გომიხია, კახაბერ ჭიჭიანი, ცილა ბეშარაძე, გურამ აბაშიძე, შალვა ნიჭიანი, გურამ ნაჭყალია, რობერტ გოლეთიანი, მამუკა ბეშქენაძე, ვაჟა ბერიძე, ზურაბ განიჭაშვილი, თამაზ ცინცაძე, ჯონი ბარამიძე, სპარტაკ ძოგულია.

უბრალოდ, საამაყო, საამაგალითო ადამიანი...

გარდაიცვალა ჩვენი ერთ-გული მეგობარი ელიზბარ ლომინაძე. წუთისოფელს განერიდა, უბრალოდ, ყველასათვის საამაყო ადამიანი, ჭეშმარიტი მამულიშვილი და მოქალაქე, საოცარი სიბილის მქონე პიროვნება.



რამდენი რამ მოასწრო, რა ძმობა და სიყვარული თესა, როგორი ფუძემდებელი იყო შექმნა, როგორი შესანატრი შვილები (4 შვილი) აღუზარდა საქართველოს, როგორი თავმდაბლობით, უშურველობით, ზნეკეთილობით გაგვაოცა...

ელიზბარ ლომინაძე... მუდამ განონასწორებული, საქმიანი, დაფიქრებული, ჭირთამთენი... ამასთან, ლიდერის თვისებებით დაჯილდოებული კაცია...

ვანის რაიონის სოფელ ფერეთის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო მეურნეობის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. როგორც კვალიფიციური მეტყვე-ინჟინერი, წლების განმავლობაში ემსახურა ამ უაღრესად ფაქიზ და შრომატევად დარგს, თანაც თითქმის მუდამ ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

იყო ქუთაისის სარაიონთაშორისო ბაზის დირექტორი, საავიჯო ფაბრიკის კომერციული დირექტორი, „საქტარის“ ქუთაისის სანარმოს დირექტორი, ხეტყვის და ქალაქის მინოდების სანარმოს დირექტორი.

1988 წელს ქუთაისიდან გადმოიყვანეს საქართველოს მინისტრთა საბჭოს და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური სანარმოს გაერთიანება „საქტარის“ გენერალურ დირექტორად, სადაც 13 წელიწადი იმუშავა. ბოლო წლებში იყო სააქციო საზოგადოება „რიონჰესის“, „გუმათჰესის კასკადის“ და „ლაჯანურჰესის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, სააქციო საზოგადოება „ენერჯია XXI-ის“ გენერალური დირექტორი.

ელიზბარ ლომინაძე სამართლის და ეკონომიკის მცოდნე კაცი გახლდათ. მოგვიანებით მან შესაბამისი პროფესიული განათლება მიიღო და ქუთაისის უნივერსიტეტი დაამთავრა.

ელიზბარ ლომინაძე არჩეული იყო აგროტექნოლოგიური აკადემიის ნამდვილ წევრად და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიის აკადემიკოსად.

ელიზბარ ლომინაძემ მხოლოდ კეთილი საერო და საღვთო საქმე აკეთა. ის დიდზე დიდი ოჯახის, სანათესაოს, სამეგობროს იმედი, სული და გული იყო.

ბოლომდე, თითქმის 85 წელიწადი ზიდა ყოველმხრივ სანიმუშო ქართველის ტვირთი და დაგვიტოვა ქრისტესმიერი სიკეთისა და სიყვარულის მაგალითი.

მშვიდობით, ჩვენო სამაგალითო მეგობარო!

ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, სპარტაკ ძოგულია, ლევან დათიაშვილი, გივი აზზიანიძე, მურთაზ მაისიანიშვილი, მურთაზ უბულაძე, გადრი მარგანიშვილი, დავით წერეთელი, ჯაგუზ ნუღაია, ვატრა ბერაია, გურამ გუნაძე, ოთარ ჭითანაძე, გივი შუღაროვი, თინათინ გოგინია, ვახტანგ კიკნაძე, მირზა ძორაშვილი, ჯემალ კანდელაკი, ალან თოდუა.

ვიტალი ხაზარაძე ოჯახით უდიდესი გულსტკივილით იუწყება ღირსეული მამულიშვილის, საზოგადოებაში გამორჩეული პიროვნების

ელიზბარ ლომინაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეგობარი დემურ გადელია ოჯახით მწუხარებით იუწყება საზოგადოების ღირსეული წევრის, გამორჩეული პიროვნული თვისებებით აღვსილი კაცური კაცის

ელიზბარ ლომინაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

მირზა ქორქაშვილი ოჯახით გამოთქვამს დიდ მწუხარებას უახლოესი მეგობრის

ელიზბარ ლომინაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ჯემალ უგულავა, შალვა მგალობლიშვილი ოჯახებით იუწყებიან მეგობრის, ღირსეული პიროვნების

ელიზბარ ლომინაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

თენგიზ ქავთარაძე და ზაურ ფხალაძე იუწყებიან საქართველოში ცნობილი პიროვნების

ელიზბარ ჯაგულის ძე ლომინაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პეტრე ბერაია ოჯახით იუწყება სამეგობროში გამორჩეული პიროვნების, ღირსეული მამულიშვილის

ელიზბარ ლომინაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

უშანგი დალალიშვილი ოჯახით იუწყება ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნების, ყველასათვის საყვარელი ადამიანის

ელიზბარ ლომინაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს.

დავით წერეთელი ოჯახით დიდ მწუხარებას გამოთქვამს სასიქადულო, სიკეთით აღსავსე, კეთილშობილებით გამორჩეული პიროვნების

ელიზბარ ლომინაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

მარინა კანდელაკი, სპარტაკ ქობულია, გურამ გოგიაშვილი, ვახტანგ ყოლბაია, გურამ გუნაძე, ოთარ ჭითანაძე, ავთანდილ თევზაძე ოჯახებით იუწყებიან საზოგადოების ღირსეული წევრის, კოლორიტული პიროვნების, ღირსეული ოჯახის ღირსეული თავკაცის

ელიზბარ ლომინაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის მთავრობა ღრმად მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ბატონ თეიმურაზ მუჯიას დედა

ნელი ბაქრაძე-მუჯავია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თენგიზ ქავთარაძე, მიხეილ სალაძე, ზაურ ფხალაძე, ნოდარ კურტანიძე სამძიმარს უცხადებენ მარინა და ბორის გოგინიაშვილებს მამისა და სიმამრის, გამორჩეული და ცნობილი პიროვნების

ოთარ ივანეს ძე ჭილაძის

გარდაცვალების გამო

ჯანმრთელობის ცენტრი თანაგრძნობას უცხადებს ბადრი შენგელიას

დადის

გარდაცვალების გამო.

ლევან დავითაშვილი: დაზარალებული მევენახეები მოსავლის დაბინძურებას შეუფერხებლად შექაზებენ!

„მშველა რესურსი მობილიზებულია, იმისთვის, რომ დაზარალებულმა მევენახეებმა მოსავლის დაბინძურება შეუფერხებლად შეძლონ. სეტყვის შედეგად დაზიანებული ყურძნის ჩაბარებას მევენახეები 3 სექტემბრის ჩათვლით შეძლებენ. დასეტყვილი ყურძნის მიღება თელავის, გურჯაანისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში კომპანიის მიერ მოწყობილ ლოკაციებზე უკვე შესაძლებელია. მევენახეები დაზიანებულ 1 კგ რქაწითელს 80 თეთრად და 1კგ საფერავს 1 ლარად ჩააბარებენ“, – აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

26 აგვისტოს ძლიერმა სეტყვამ და ქარმა კახეთის რეგიონში, ყვარლის, თელავის და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში 4 600 ჰექტარი ვენახი დაზიანდა. სახელმწიფო სანარმომ შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ სეტყვისგან დაზიანებული ყურძნის ჩაბარება 27 აგვისტოდან დაიწყო და 3 სექტემბრის ჩათვლით გააგრძელებს.

გილოცავთ კოლეგებო, გაიხარე მკითხველო!!!

საპარტიველო კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ მიერ ჩატარებული კონკურსის – „საბავშვო და რამდენიმე ლიტერატურული ჟურნალის გამოცემის ხელშეწყობა“ შედეგები ცნობილია. ინფორმაციას კულტურის სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

2021 წლის კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა ოთხი პროექტი:

1. საბავშვო ჟურნალი „დილა“;
 2. სალიტერატურო ჟურნალი „ებგური“;
 3. ჟურნალი „ოლე“ (ა)იპ „ლიტერატურული კახეთი“;
 4. საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „აფინაჟი“.
- „კონკურსის მიზანია, ერთი მხრივ, საბავშვო ლიტერატურული პერიოდული გამოცემების ხელშეწყობა, მეორე მხრივ, რეგიონული ლიტერატურული ჟურნალების წახალისება, ქართველი საბავშვო და რეგიონული ავტორების პოპულარიზაცია და ახალი, ნიჭიერი ავტორების აღმოჩენა, საგამომცემლო სექტორისა და სალიტერატურო კრიტიკის განვითარება პერიოდული გამოცემების ხელშეწყობის გზით.
- გამარჯვებული პროექტები გამოვლენილ იქნა სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ, რომელშიც ერთი წევრი კულტურის სამინისტროს წარმომადგენელია.

მოცემული კონკურსისათვის კულტურის სამინისტროს მიერ გამოყოფილ თანხებს წარსულში სსიპ „მწერალთა სახლი“ განკარგავდა, წელს კი ის პირველად ჩაატარა სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“. პროექტის ჯამური ბიუჯეტი 50 000 ლარია და ეს თანხა მიმდინარე წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე არის განსაზღვრული.

წარმატებას ვუსურვებთ კონკურსში გამარჯვებულებს პროექტების განხორციელებაში! – ნათქვამია კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA

ვაშა ფშაველას №48
 ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
 599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
 514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანამშრომელ-გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორი“
 ე. ბაღდავაძის №3

კოლორი ჰაუზი

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323



2 009882 616932

ეპროპული კრიტიკოსების პრიზი ქართულ ფილმს




„იოსებ (სოსო) ბლიაძის ფილმს „ოთარის სიკვდილი“ კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე კინოკრიტიკოსთა ჯილდო FEDEORA AWARD გადაეცა, – იტყობინება საქართველოს ეროვნული კინოცენტრი.

ფილმი „ოთარის სიკვდილი“ საკონკურსო სექციაში East of the West Competition აჩვენეს. იგი საქართველო-გერმანია-ლიეტუვას კოპროდუქციაა. ფილმის მსოფლიო პრემიერა გაიმართა 21 აგვისტოს.

56 მილიონი... შერიფის რეკორდები

რეკორდმანი, რომლითაც 140 წლის წინ ცნობილი ამერიკელი ყაჩაღი ბილი კიდი მოკლეს, Bonhams-ის აუქციონზე 6 მილიონ დოლარად გაიყიდა.

„კოლტის“ ტიპის რევოლვერს ექსპერტები 3 მილიონ დოლარად აფასებდნენ, თუმცა სააუქციონო სახლის საკომისიო გადასახადების გათვალისწინებით მისმა ფასმა 6,03 მილიონი დოლარი შეადგინა. სწორედ ამ იარაღით 1881 წელს ტეხასელმა შერიფმა პეტ გარეტმა ბილი კიდი მოკლა. რევოლვერი ჯიმი და ტერენა ერლის კოლექციაში ინახებოდა, თუმცა 2019 წელს ჯიმის გარდაცვალების შემდეგმა ოჯახმა მთელი კოლექციის გაყიდვა გადაწყვიტა. ნიუ-იორკის მკვიდრი უილიამ შერი მაკარტი, რომელიც ბილი კიდის სახელით გახდა ცნობილი, არიზონისა და ნიუ-მექსიკოს შტატებში 8 ადამიანის მკვლელობისთვის იძებნებოდა. შერიფმა გარეტმა მრავალთვიანი ძიების შემდეგ ბილი კიდი ნიუ-მექსიკოს შტატში, ფორტ-სამერში იპოვა და 1881 წლის 14 ივლისს მოკლა.



ახალი ფილმი პრინცესა დიანაზე

გამომეხდდა ფილმი „სპენსერის“ ტრეილერი, რომელშიც პრინცესა დიანას როლს მსახიობი კირსტენ სტიუარტი ასრულებს.

პაბლო ლარაინის ფილმი მსოფლიო სამი დღის განმავლობაში მომხდარ მოვლენებზე მოგვითხრობს. ფილმში ძირითადად მოქმედება ნორფოლკში, სანდრინგემის რეზიდენციაში მიმდინარეობს, სადაც ტრადიციული სამეფო საშობაო ღონისძიება იმართება. სწორედ აქ გადაწყვეტს პრინცესა დიანა პრინც ჩარლზთან ქორწინების დასრულებას.

5 ნოემბერს, ფილმის კინოთეატრებში გამოსვლამდე, გაიმართება მისი სპეციალური ჩვენებები ტორონტოს კინოფესტივალზე.

რამონგრაული ისტორიული ხიდი


ნიდერლანდების ქალაქ მასტრიხტში აშენებ მე-19 საუკუნის სარკინიგზო ხიდი დააზიანა.

შემთხვევის შედეგად კულტურული-ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი ნაწილობრივ ჩამოინგრა. მედიის ინფორმაციით, ამწეს მძლავრი არ დაშავებულა. ინციდენტის მიზეზები ამ ეტაპზე უცნობია. სარკინიგზო ხიდი 1854-1856 წლებშია აშენებული.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.
 (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).



ფეხბურთელი... დინოზავრი

მსაბნეთის ქალაქ ბურგოსში პალეონტოლოგებმა დინოზავრების ახალი სახეობა აღმოაჩინეს, რომელსაც ლეგენდარული ესპანელი ფეხბურთელის, ანდრეს ინიესტას პატივსაცემად *Iniestapodus burgensis* („ინიესტას ფეხი ბურგოსიდან“) შეარქვეს.


დინოზავრი-ზაუროპოდი ოთხფეხა ბალახისმჭამელი დინოზავრების ჯგუფს მიეკუთვნება, ამ ტიპის დინოზავრებისთვის დამახასიათებელი სამი კლანჭის ნაცვლად მას ოთხი კლანჭი აქვს.

„როგორც ბურგოსში გაიწვია დინოზავრების ყოფნის კვალი მილიონობით წელიწადზე, ასევე ანდრეს ინიესტას ნიჭი და წარმატებები ესპანური და მსოფლიო ფეხბურთის ფუნდამენტურ ისტორიას წარმოადგენს“, – აცხადებენ პალეონტოლოგები.

ბუღას ქანდაკება ქრისტეს ქანდაკებას ბაღუსნარო

ბრაზილიის ჩრდილოეთში, ესპირიტუ-სანტუს შტატის ქალაქ იბირასუში, ბუდისტურ მონასტერში ბუღას გიგანტური ძეგლი გახსნეს. ინფორმაციას ამის შესახებ Ghibi ავრცელებს.

ძეგლის აღმართვის სამუშაოები 2020 წლის ოქტომბერში დასრულდა, დეკემბერში კი ის ბუდისტური წესის მიხედვით აკურთხეს. ძეგლი ოფიციალურად მიმდინარე წლის აპრილში უნდა გახსნილიყო, თუმცა ამას ხელი პანდემიამ შეუშალა. მონუმენტის სიმაღლე 35 მეტრია, რაც რიო-დე-ჟანეიროში მდებარე ქრისტეს ქანდაკებაზე 5 მეტრით მეტია. თუმცა ყველაზე მაღალ ძეგლად 2011 წელს ქალაქ ბარა-ველიაში გახსნილი „თავისუფლების ქანდაკების“ ასლი ითვლება, რომლის სიმაღლეც 57 მეტრია.



გაზეთის მომავალი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 2 სექტემბერს

უსტოური ვაჭარის ქარსი:

აუუ ფონი - 3.1248; ვიპო - 3.6738;
 ბრეტანული პირაპნა სტარლინი - 4.2825;
 100 რუბლი - 4.2196; თურქული ლირა - 0.3721;
 ანგარიშის მანათი - 1.8384;
 1000 სომხური დრამი - 6.3332.

აინლი 30 აგვისტოსთვის

აღმოსავალი საქართველო:

ბარა -	ლამ	+19,	ლვ	+37
თიანე რაიონი -	ლამ	+14,	ლვ	+34

დასავალი საქართველო:

ბარა -	ლამ	+22,	ლვ	+38
თიანე რაიონი -	ლამ	+16,	ლვ	+32
თიანე რაიონი -	ლამ	+23,	ლვ	+36

დაგვიკავთ, მოგვწერათ:
 ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
 და sakresp@top.ge
 ვებ-გვერდი: www.sakresp.ge